



# ლოცვანი

დილისა და ძილად მისვლის,  
აღსარებისა და ზიარების  
ლოცვები

თბილისი

„წიგნის სავანე“

2014

# დილის ლოცვანი

## დასაწყისი ლოცვები

ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთათა, უფალო, იესუ ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალებ ჩვენ. ამინ.

დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა.

მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულს ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე ადავსებ მაღლითა შენითა, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკვიდრე ჩვენს შორის და წმიდა მყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩვენნი.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალებ ჩვენ (3-გზის).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგვიწყალებ ჩვენ, უფალო, გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან, მეუფეო, შეგვინდე უსჯულოებანი ჩვენნი, წმიდაო, მოიხილე და განჰკურნენ უძლურებანი ჩვენნი სახელისა შენისათვის.

უფალო შეგვიწყალებ (3-გზის).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, ამინ.

## სამწმიდაობის ტროპარნი

ადღგომილი ძილისაგან, შეგივრდებით შენ, სახიერ, ანგელოსთა გალობასა გილადადებთ შენ, ძლიერო: წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ შენ, ღმერთო, ღვთისმშობელისა მიერ შეგვიწყალებ ჩვენ.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

ცხედრისაგან და ძილისა აღმადგინე მე, უფალო, გონება და გული ჩემი განანათლენ, და ბაგენი ჩემნი აღახვენ, გალობად შენდა, წმიდაო სამებაო: წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ შენ, ღმერთო, ღვთისმშობელისა მიერ შეგვიწყალებ ჩვენ.

აწდა მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მეყსეულად მსაჯული იგი მოვიდეს, და თითოეულისა საქმენი განშიშვლდნენ, არამედ შიშით დადადვყოთ შუაღამესა: წმიდა ხარ, წმიდა ხარ, წმიდა ხარ შენ, ღმერთო, ღვთისმშობელსა მიერ შეგვიწყალენ ჩვენ.

უფალო, შეგვიწყალენ (12-გზის).

### ლოცვა სამებისადმი

ძილისაგან აღდგომილი გმადლობ შენ წმიდაო სამებაო, რამეთუ მრავლისა სახიერებისა და სულგრძელებისა შენისათვის არა განრისხენ ჩემ უძღვებსა და ცოდვილსა ზედა, და არა თანა წარმწყმიდე მე უსჯულოებათა შინა ჩემთა, არამედ ჩვეულებისაებრ კაცთმოყვარე მექმენ მე, და უფსკრულსა შინა სასოწარკვეთილებისასა მდებარე აღმადგინე აღმსობად და დიდების-მეტყველებად ძალსა შენსა, აწცა განმინათლენ თუალნი გონებისა ჩემისანი, აღაღე პირი ჩემი ზრახვად სიტყვათა შენთა, და გულისხმის-ყოფად გზათა შენთა და ქმნად ნებისა შენისა, და გალობად სახელსა შენსა აღსარებითა გულისათა. დიდებად და გალობად ყოვლად-პატიოსანსა სახელსა შენსა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მოვედით, თაყვანის-ვსცეთ მეუფესა ჩვენსა ღმერთსა;

მოვედით, თაყვანის-ვსცეთ და შეუვრეთ ქრისტესა მეუფესა ჩვენსა ღმერთსა;

მოვედით, თაყვანის-ვსცეთ და შეუვრდეთ თვით ქრისტესა მეუფესა და ღმერთსა ჩვენსა;

### ფსალმუნი 50

მიწყალე მე ღმერთო დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღხოცე უსჯულოებაი ჩემი. უფროის განმბანე მე უსჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწყმიდე მე, რამეთუ უსჯულოებაი ჩემი მე უწყი და ცოდვაი ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის. შენ მხოლოსა შეგცოდე და ბოროტი შენ წინაშე ვყავ; რაითა განჰმართლდე სიტყვათაგან შენთა და სძლო სჯასა შენსა. რამეთუ ესერა უსჯულოებათა შინა მიუდგა და ცოდვათა შინა მშვა მე დედამან ჩემმან, რამეთუ ესერა ჰუმმარიტებაი შეიყვარე, უჩინონი და დაფარულნი სიბრძნისა შენისანი გამომიცხადენ მე, მასხურო მე უსუპითა და განმწყმიდე მე, განმბანო მე და უფროის თოვლისა განვსპეტაკნე. მასმინო მე გალობაი და სიხარული და იხარებდნენ ძუალნი დამდაბლებულნი. გარე მიაქციე პირი შენი ცოდვათა ჩემთაგან და ყოველნი უსჯულოებანი ჩემნი აღხოცენ. გული წმიდაი დაჰბადე ჩემთანა ღმერთო და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა. ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან. მომეც მე სიხარული მაცხოვარებისა შენისაი და სულითა მთავრობისაითა დამამტკიცე მე. ვასწავლნე უსჯულოთა გზანი შენნი და უღმერთონი შენდა მოიქცნენ. მიხსენ მე სისხლთაგან ღმერთო, ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო; იხარებდეს ენაი ჩემი სიმართლესა შენსა. უფალო, ბაგენი ჩემნი აღახვენ და პირი ჩემი უთხოვდეს ქებულებასა შენსა. რამეთუ უკუეთუმცა გენება მსხვერპლი შე-მცა-მეწირა, არამედ საკუერთხნი არა გონდეს. მსხვერპლი ღმრთისა არს სული შემუსვრილი, გული შემუსვრილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხყოს. კეთილი უყავ, უფალო, ნებითა შენითა სიონსა და აღაშენენ ზღუდენი იერუსალიმისანი. მაშინ გონდეს მსხვერპლი სიმართლისა, შესაწირავი და ყოვლად დასაწუელი; მაშინ შესწირნენ საკურთხეველსა შენსა ზედა ზვარავნი.

## მრწამსი

მრწამს ერთი ღმერთი, მამა, ყოვლისა მპყრობელი, შემოქმედი ცათა და ქუეყანისა, ხილულთა ყოველთა და არა ხილულთა;

და ერთი უფალი იესუ ქრისტე, ძე ღმრთისა მხოლოდშობილი, მამისაგან შობილი უწინარეს ყოველთა საუკუნეთა. ნათელი ნათლისაგან, ღმერთი ჭეშმარიტი ღვთისაგან ჭეშმარიტისა, შობილი და არა ქმნილი, ერთარსი მამისა, რომლისაგან ყოველი შეიქმნა.

რომელი ჩუენთვის, კაცთათვის და ჩუენისა ცხოვრებისათვის გარდამოხდა ზეცით, და ხორცნი შეისხნა სულისაგან წმიდისა და მარიამისაგან ქალწულისა, და განკაცნა.

და ჯუარს ეცვა ჩუენთვის პონტოელისა პილატესზე და ივნო, და დაეფლა.

და აღდგა მესამესა დღესა მსგავსად წერილისა.

და ამაღლდა ზეცად, და მჯდომარე არს მარჯვენით მამისა.

და კუალად მომავალ-არს დიდებით, განსჯად ცხოველთა და მკუდართა, რომლისა სუფევისა არა არს დასასრულ.

და სული წმიდა, უფალი და ცხოველს-ყოფელი, რომელი მამისაგან გამოვალს, მამისა თანა და ძისა თანა თაყუანის-იციემების და იდიდების, რომელი იტყოდა წინასწარმეტყველთა მიერ.

ერთი, წმიდა, კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია. აღვიარებ ერთსა ნათლისღებასა მოსატევებელად ცოდვათა.

მოველი აღდგომასა მკუდრეთით.

და ცხოვრებასა მერმისსა მის საუკუნესასა, ამინ.

## ლოცვა დიდისა მაკარისა

ღმერთო, განმწმიდე მე ცოდვილი, რამეთუ არა მიქმნიეს კეთილი წინაშე შენსა, არამედ მიხსენ მე განსაცდელისაგან და იყავნ ჩვენს შორის ნება შენი, რაითა დაუსჯელად აღვადლო პირი ჩემი არაღირსი და ვაქებდე სახელსა შენსა წმიდასა, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

უფალო, ღმერთო ჩვენო, რომელმან მრავლითა სიტკბოებითა, და აურაცხელითა მოწყალებითა შენითა მომანიჭე ჩვენ, და სათნო-იყავ თანაწარსვლასა ამას სიგრძესა ღამისასა მშვიდობით თანაწარსვლად, და ყოვლისაგან განსაცდელისა და ბოროტისა დაგვიფარენ. შენ, მეუფეო და შემოქმედო ყოველთაო, მომეც ჩვენ მიწევნად ცისკრისა ლოცვათა, და გამოაბრწყინვე გულთა შინა ჩვენთა ჭეშმარიტი ნათელი საუნჯეთაგან მეცნიერებისა შენისათა, და ყოფად ყოვლისავე ნებისა შენისა.

## ლოცვა ბასილი დიდისა

უფალო, ყოვლისა მპყრობელო, მეუფეო ძალთაო და ყოვლისა ხორციელისაო, რომელი მაღალთა შინა მკვიდრ-ხარ, და ყოველსავე მდაბალთა ხედავ, რომელი დაფარულთა კაცთასა მეცნიერ-ხარ და გულთა და გონებათა მოქმედებანი უწყნი, დაუსაბამოო და უხილავო, ნათელო თვალთ-შეუდგამო, რომელი მიუაჩრდილებელი ნათელი ხარ, შენ, უკვდავო მეუფეო, მოხედენ ვედრებასა ჩვენსა ზედა ჟამსა ამას, რომელნი მრავლისა შენისა მოწყალებისა მიმართ მინდობილ ვართ, და გევედრებით, შეიწირე მწიკველევანთა ამათ ბაგეთა ჩვენთა მიერი ვედრება, და მომიტევენ ჩვენ ყოველნი შეცოდებანი ჩვენნი, საქმითნი, სიტყვითნი, და გონებითნი, ცნობით და უმეცრებითნი, და განმწმიდენ ჩვენ ყოვლისაგან შეგინებისა ხორცთასა და სულისა და მომმადლენ ჩვენ მღვიძარე გონება, გულის-სიტყვა კეთილი, და ყოვლისაგან ღამისა ამისა სოფლისაგან ჩვენზედა მომავალისა საცდურისაგან მიხსნენ, რათა ღირს ვიქმნეთ მიწევნად ბრწყინვალესა და განათლებულსა დღესა მას მეორედ მოსვლისა მხოლოდშობილისა ძისა შენისა, უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესა, მოსვლასა მისსა დიდებით განსჯად ყოველთა კაცთა, და მიგებად თვითეულსა საქმეთა მათთაებრ, რათა არა განგდებულ ვიქმნეთ უღებებითა, არამედ რათა მღვიძარედ ვიპოვნეთ აღდგომილნი საქმითა კეთილითა, მომლოდნელნი წარდგომას სიხარულისა, და შესვლად საღმრთოსა სასძლოსა დიდებისა მისისასა, რათა ჩვენცა მკვიდრთა მას შინა წმიდათა თანა ღირს-ვიქმნეთ დღესასწაულობად ხმასა მას საღმრთოსა დიდებისა მისისასა მოუკლებელად, და განწმედილითა პირითა ხილვად პირსა მას გამოუთქმელისა ძისა შენისასა, რამეთუ შენ ხარ ჭეშმარიტი ნათელი, რომელი განანათლებ და წმიდა-ჰყოფ ყოველთა კაცთა, და შენ გაქებს ყოველი დაბადებული უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

## ლოცვა მფარველი ანგელოსისადმი სამარადისო

წმიდაო ანგელოსო, რომელი ზედა-ადგ ჭირვეულსა სულსა ჩემსა და გლახაკსა ცხოვრებასა ჩემსა, ნუ დამაგდებ მე ცოდვილსა, ნუცა განმეშორები ჩემგან ბილწებათა ჩემთათვის, ნუ სცემ ადგილსა ბოროტსა უფლებად ჩემდა, უძლურებისათვის მოკვდავთა ამათ ხორცთა ჩემთასა. უპყარ ხელი დავრდომილსა და შეურაცხსა სულსა ჩემსა და მიძლოდე მე გზათა ცხოვრებისათა. ჰე, წმიდაო ანგელოსო ღვთისაო, მცველო და მფარველო უღირსისა სულისა ჩემისა და ხორცთაო, ყოველივე შემინდევე, რაოდენი გაჭირვე შენ ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა, და რაოდენი ვსცოდე განვლილსა ამას ღამესა, დამიფარე დღეინდელსა ამას დღესაცა და დამიცევ მე განსაცდელისაგან და მზაკვრებათა წინააღმდეგომისათა, რათა არა რომლითა ცოდვითა განვარისხო ღმერთი, და მეოხ-იყავ ჩემთვის ღვთისა მიმართ, რათა განმამტკიცოს შიშსა მისსა, და ღირსად გამომაჩინე მისისა მეუფებისა, და მკვიდრად სახიერებისა მისისა, ამინ.

## კონდაკი ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა

ზესთამბძოლისა ჩემისათვის და მოღვაწისა უძლეველისა, ვითარცა შენ მიერ ხსნილნი განსაცდელთაგან სამადლობელსა შევსწირავთ ღვთისმშობელო ქალწულო, შენდა მომართ მონანი შენნი, არამედ ვითარცა გაქუს ძლიერება უბრძოლველი, ყოველთაგან ვნებათა განმათავისუფლენ ჩვენ, რათა გიგალობდეთ შენ, კურთხეულო, გიხაროდენ სძალო უსძლოო.

ყოვლად დიდებულო და მარადის ქალწულო დედაო ქრისტეს ღვთისაო, მიართვ ლოცვა ჩვენი ძესა შენსა და ღმერთსა ჩვენსა, რათა აცხოვნოს სულნი ჩვენნი.

### **მოკითხვა მთავარანგელოსისა მიერ ყოვლადწმიდისა ღვთისმშობლისა**

ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშევ სულთა ჩვენთა.

### **ლოცვით მოწოდება წმიდანისა, რომლის სახელიცა გვაქვს**

ევედრე ღმერთსა ჩემთვის წმიდაო (სახელი), რამეთუ გულმოდგინედ შენდამი მოვილტვი, ვითარცა მსწრაფლშემწისა და მეოხისა სულისა ჩემისათვის.

### **ტროპარი ჯვარისა და ლოცვა ერისა და მამულისათვის**

აცხოვნე, ღმერთო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი, ძლევა ჯვართა ბარბაროსთა ზედა ღვთივდაცულსა ერსა შენსა მოანიჭე და ერი შენი საფარველსა ქვეშე მისსა დაიცევ, რათა ვიტყოდეთ, უფალო, დიდება შენდა.

### **ლოცვა ცოცხალთათვის**

მოიხსენე უფალო, ღმერთო ჩვენო, წყალობითა და მოწყალებითა შენითა საუკუნითგან მყოფნი, რომელთათვის განკაცნენ და ჯვარცმა და სიკვდილი თავს იდევ ცხოვრებისათვის მართლმორწმუნეთა შენთასა, აღსდექ, ამაღლდი ზეცად და დასჯედ მარჯვენით ღმრთისა და მამისა, მოჰხედენ მოწყალებით მვედრებელთა ამათ შენთა, რომელნი ყოვლითა გულითა გხადიან შენ, მოყავ ყური შენი და ისმინე ჩემ მდაბლისა და უხმარისა მონისა შენისა და ყოვლისა ერისა შენისა. პირველად მოიხსენე, უფალო, შენი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია, რომელი პატიოსნითა სისხლითა შენითა მოიყიდენ და დაამტკიცენ, განამლიერენ, აღამაღლენ, განამრავლენ, მშვიდობით დამყარებულ ჰყავ და წარმართა ზედა მოსვლისაგან განათავისუფლენ და უძღვებისა ჯოჯოხეთისა ბჭეთაგან უკუნისამდე დაიცვენ, მწვალებელთა გესლოვანება განაქარვენ და მეტყველება მათი ცუდ-ყპვენ ძალითა წმიდისა სულისა შენისათა და მოაქციენ იგინი. (მეტანია)

აცხოვნე უფალო და შეიწყალენ ღვთივდაცული ერი ჩვენი, მთავრობა და მხედრობა მისი.

მოიხსენე, უფალო, ღვთივდაცული ერი ჩვენი და მეუფება მისი, გარე-შეზღუდენ მპყრობელობანი მათნი, დაუმორჩილენ ქვეშე ფერხთა მათთა ყოველი მტერნი და მბრძოლნი მათნი, შთაუთხენ გულთა შინა მათთა კეთილი და მშვიდობა წმიდისა ეკლესიისათვის და ყოვლისა ერისა შენისა და მიეც მათ მშვიდობა და დაწყნარება, რათა მყუდროებასა შინა მათსა დაწყნარებული ცხოვრება გვაქუნდეს, მართლითა სარწმუნოებითა და კეთილმსახურებითა ვსცხოვრობდეთ. (მეტანია)

აცხოვნე უფალო და შეიწყალენ დიდი მეუფე ჩვენი, უწმიდესი და უნეტარესი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი და

ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი მამაი ჩვენი ილია, წმიდანი მსოფლიოს მართლმადიდებელნი პატრიარქნი, ყოვლად-სამღვდელონი მიტროპოლიტნი, მთავარ-ეპისკოპოსნი და ეპისკოპოსნი, პატოსანნი მღვდელნი, ქრისტეს მიერ დიაკონნი და ყოველნი სამონაზვნო წესნი ზიარნი ეკლესიისანი, რომელნი დაადგინენ მწყსად სიტყვიერთა ცხოვართა შენთა ზედა და ლოცვითა მათითა მეცა ცოდვილი შემიწყალე და მაცხოვნე. (მეტანია)

აცხოვნე, უფალო, და შეიწყალენ სულიერი მამა, მოძღვარი, მასწავლელი ჩემი (სახელი), რომელი მარადის იღვიძებს და იღვწის სულისა ჩემისათვის და ლოცვითა მათითა მეცა ცოდვილი შემიწყალე და მაცხოვნე. (მეტანია)

აცხოვნე, უფალო, და შეიწყალენ მშობელნი ჩემნი (სახელები), ძმანი და ნათესავნი ხორციელნი და ყოველნი მახლობელნი და მეგობარნი ჩემნი და მიანიჭე მათ მშვიდობაი შენი და აღავსენ იგინი ყოვლითა კეთილითა. (მეტანია)

აცხოვნე, უფალო, და შეიწყალენ მოხუცებულნი და ყრმანი, ობოლნი და ქვრივნი და მდებარენი უძლურებასა და დახსნილობასა შინა, მწუხარენი, განსაცდელსა შინა მყოფნი, ტყვეობასა და საპყრობილესა შინა მყოფნი, დევნულნი სიმართლისათვის მართლმადიდებლობასა შინა, უღმრთოთა და წარმართთაგან, მწვალებელთა და უარისმყოფელთაგან, მონანი შენნი მოიხსენენ, განანათლენ, აღადგინენ, განათავისუფლენ, განამტკიცენ ძალითა შენითა შენდობა და ხსნა მიანიჭე მათ. (მეტანია)

აცხოვნე, უფალო და შეიწყალენ, მოძულენი და მაჭირვებელნი ჩემნი, და მოქმედნი ჩემზედა უსჯულოებისანი, და რომელი მძმლავრობენ და მყვედრიან მე და ნუ დასჯი მათ უსჯულობათა მათთა გამო, არამედ მოაქციენ იგინი ბოროტისაგან, რომელი აქვთ ჩემდა მომართ და შეიწყალენ დიდითა შენითა წყალობითა. (მეტანია)

უარისმყოფელნი მართლმადიდებელისა სარწმუნოებისანი და ჭეშმარიტებისა გზათაგან შეცდომილნი, წვალებათაგან დაბნეულნი ნათლითა ცნობისა შენისათა განანათლენ და მოაქციენ იგინი მართალსა სარწმუნოებასა ზედა და ზიარ-ყვენ იგინი წმიდისა შენისა კათოლიკე და სამოციქულოსა ეკლესიისა, რათა გიცნან შენ მხოლოდ-ჭეშმარიტი ღმერთი და თაყუანი-გცენ. (მეტანია)

### **ლოცვა გარდაცვალებულთათვის**

მოიხსენე, უფალო, სულნი გარდაცვალებულთა მონათა და მხევალთა შენთა, მშობელთა ჩემთა და ყოველთა მონათესავეთა ჩემთა (სახელები), და სასოებით მკვდრეთით აღდგომასა და საუკუნოსა ცხოვრებასა ზედა გარდაცვალებულთა მამათა, ძმათა და დათა, და მიუტევენ მათ ყოველივე შეცოდებანი მათნი და მიეც მათ საუკუნო ხსენება. (3-გზის და მეტანია)

ღირს-არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ, შენ ღვთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ, ყოვლად-უბიწოდ და დედად ღვთისა ჩვენისა. უპატიოსნესსა ქერუბინთასა, და აღმატებით უხესთაესსა სერაბინთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყვისა ღვთისასა, მხოლოსა ღვთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

უფალო, შეგვიწყალებ. (3-ჯერ)

უფალო, იესუ ქრისტე, მეო ღმრთისაო, ლოცვითა ყოვლად წმიდისა დედისა შენისათა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩვენთათა და ყოველთა წმიდათა შენთათა, შეგვიწყალებ ჩვენ, ამინ.

### ლოცვა ძილში დაცემის შემთხვევისას

50 მეტანია, ლოცვით: - ღმერთო მილხინე მე ცოდვილსა ამას და შემიწყალე მე, სახელისა შენისათვის წმიდისა.

### შემდეგ ლოცვა ესე:

მრავლადმოწყალო, ყოვლადდიდებულო, უბიწო და შეუგინებელო უფალო. მხოლოდ უცოდველო, განმწმიდე მე მონაი შენი, ყოვლისა შემწიკვლებისაგან ხორცთა და სულისა და უბიწოდ გამომაჩინე მაღლითა ქრისტეს შენისათა და განმწმიდე მე დანერგვითა წმიდისა სულისა შენისათა. რათა განწმედილი საცთურისა ამისაგან განთავისუფლებული ღირს ვიქმნა ჟამსა კეთილსა, რჩეულთა შენთა თანა მისვლად და ზიარებად საშინელსა და შესაძრწუნებელსა საიდუმლოსა შენსა. რამეთუ შენ ხარ, რომელი აკურთხევ და განსწმედ ყოველთა ქრისტე ღმერთო ჩვენო და შენდა დიდებასა აღვაველებთ, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

## ძილად მისვლის ლოცვანი

### დასაწყისი ლოცვები

ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთათა, უფალო, იესუ ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალებ ჩვენ. ამინ.

დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა.

მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულსა ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე ალავსებ მაღლითა შენითა, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკვიდრე ჩვენს შორის და წმიდა მყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩვენნი.\*

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალებ ჩვენ (3-გზის).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.



ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგვიწყალენ ჩვენ, უფალო, გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან, მეუფეო, შეგვიხსენდე უსჯულოებანი ჩვენნი, წმიდაო, მოიხილე და განჰკურნენ უძლურებანი ჩვენნი სახელისა შენისათვის.

უფალო შეგვიწყალენ (3-გზის).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, ამინ.

### ტროპარნი

მიწყალენ ჩუენ, უფალო, შემიწყალენ ჩვენ, რამეთუ ყოველსავე სიტყვის-მიცემისაგან უღონო ვართ, გარნა ამას ვედრებასა შენ, მეუფისა სახიერისა, ცოდვილნი ესე შევსწირავთ. მიწყალენ ჩუენ, უფალო, შეგვიწყალენ ჩუენ.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

უფალო, შემიწყალენ ჩუენ, რამეთუ შენ გესავთ, ნუ განმირისხდები ჩუენ ფრიად, და ნუცა მოიხსენებ უსჯულოებათა ჩუენთა, არამედ მოიხილე ჩუენზედა წყალობით, ვითარცა სახიერ ხარ, და გვიხსენ ჩუენ სამართლად რისხვისაგან შენისა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩუენი, და ჩუენ ვართ ერნი შენნი, ყოველნივე ქმნულნი ხელთა შენთანი ვართ და სახელი შენი წოდებულ არს ჩუენზედა, და შემიწყალენ ჩუენ.

აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მოწყალეების კარი განგვიღე, კურთხეულ ღმრთისმშობელო, რათა, რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდეგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთასა.

უფალო შეგვიწყალენ (12-ჯერ).

### ლოცვა 1, წმიდისა დიდისა მაკარისა ღვთისა მამისადმი

ღმერთო საუკუნეთაო და მეუფეო ყოვლისა არსებისაო, რომელმან ღირს-მყავ მე მოწევნად ჟამსა ამას, მომიტევენ მე ცოდვანი ჩემნი, რომელნიცა ვქმენ დღეინდელსა დღესა საქმით, სიტყვით და გულისხმის-ყოფით; და განწმიდე, უფალო, მდაბალი გული ჩემი ყოვლისაგან ბიწისა სულისა და ხორცისა, და მომეც მე, უფალო, ღამესა ამას შინა ძილად მისვლა მშვიდობით, რათა აღვდგე მდაბლისა ჩემისა სარეცელისაგან, სათნო-ვეყო წმიდასა სახელსა შენსა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა, და განვაგდო მბრძოლნი მტერნი ჩემნი, ხორციელნი და უხორცონი, და მიხსენ მე, უფალო, ამაოისა გულისთქმათაგან, შემაგინებელთა

ჩემთა, და საწადელთაგან ბოროტთა, რამეთუ შენი არს მეუფება, ძალი და დიდება მამისა და ძისა და წმიდისა სულისა აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

## **ლოცვა 2, უფლისა იესუ ქრისტესი**

უფალო, იესუ ქრისტე, მეო და სიტყვაო ღვთისა ცხოველისაო, შემინყალე მე უღირსი ესე მონა შენი, და განფხვარ გონებისა ჩემისაგან გულის-სიტყვა უჯერო და ვნებული, რომელი ეგე კურთხეულ ხარ უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

## **ლოცვა 3, სულისა წმიდისადმი**

უფალო მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭემმარიტებისაო, ნუგეშინისმცემელ მექმენ და შემინდევე მე უღირსსა მონასა შენსა რაოდენიცა, ვითარცა კაცმან, ვჰსცოდენ დღეს ნებსით და უნებლიეთ, მეცნიერებით და უმეცრებით, აღტაცებულობისაგან, უკრძალველობისაგან და დიდისა მცონარებისაგან, და უღებებისა ჩემისა. გინათუ ვჰფუცე სახელი შენი წმიდა, გინათუ ვაფიცე, გინა ცილისწამე, გინათუ ვჰგმე გონებითა, ანუ შევაწუხე, ანუ უზრახე ვისმე, გინა რაისამე ზედა განვარისხე ვინმე, ანუ უტყუე ვისმე, გინა ძმა მოვიდა ჩემდა და შეურაცხვჰყავ, გინა ვაჭირვე ძმასა და განვამწარე, ანუ თუ მდგომარეობასა ჩემსა ლოცვასა და ფსალმუნებასა შინა გონება ჩემი ბოროტთა და საწუთოთა მიექცა, გინა შესატყვისისა მეტად განვიშევე, ანუ ურცხვინოებით ვზრახე, ანუ ბილწებით, გინა ვიცინე უგუნურებით, ანუ ვიცუდდიდებულე, ანუ ვიუძღებე, გინა ვიამჰარტავნე, გინა შვენიერებისა მქონებელი ვიხილე და მისდამი დავსლბი, ანუ შეუტყუებელნი ჩემნი კადნიერებით ვზრახენ, გინა თუ დასაკლებელთა განვიცდიდი ძმისა ჩემისათა, ხოლო ჩემთა აურაცხელად და შეუნდობელად მყოფთა უგულუბელსვჰყოფდი უსჯულოებათა, გინათუ ლოცვაი ჩემი უღებ-ვჰყავ, ანუ სხვა რაიმე ბოროტი მიქმნიან და არა მახსოვან, უფალო, უფალო, შემინყალე და შემინდევე მე უღირსსა და უხმარსა მონასა შენსა, ვითარცა სახიერმან და კაცთმოყვარემან, რათა მშვიდობით დავსწვე და დავიძინო მე უძღებმან ამან და გადიდებდე შენ მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

## **ლოცვა 4**

უფალო, ღმერთო ჩვენო, რაიცა რა შეგცოდე დღეინდელსა ამას დღესა, სიტყვით, საქმით და გულის-ხმის-ყოფით, ვითარცა კაცთმოყვარემან, მომიტევენ მე; მშვიდობისა ძილი და უშფოთველობა მომანიჭე მე; ანგელოსი შენი მფარველი მომივლინე, მფარველი და დამცველი ჩემი ყოვლისაგან ბოროტისა; რამეთუ შენ ხარ მფარველი სულთა და ხორცთა ჩვენთა და შენდა დიდებასა აღვაველნთ მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

## **ლოცვა 5, წმიდისა ანგელოსისა მიმართ**

წმიდაო ანგელოსო უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესო, მცველო და მფარველო მდაბლისა სულისა და ხორცთა ჩემთაო, რაოდენიცა რა განგამწარე, ანუ შეგაწუხე დღეინდელსა ამას დღესა, სიტყვით, ანუ საქმით, შემინდევე და დამიფარე ღამესა ამას ყოვლისა განცდისა

საფრთხეთაგან ეშმაკისათა, რათა არა განვარისხო კაცთმოყვარე ღმერთი და არა აღმზოცოს წიგნისა მისგან ცხოველთასა, არამედ ღირსად გამომაჩინე მისისა კაცთმოყვარეობისა და სახიერებისა, რამეთუ კურთხეულ არს ყოვლადწმიდა სახელი მისი უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

### **კონდაკი ღვთისმშობელისა**

ზესთამბოლისა ჩემისათვის და მოღვაწისა უძლეველისა, ვითარცა შენ მიერ ხსნილნი განსაცდელთაგან სამადლობელსა აღვსწერთ ღვთისმშობელო ქალწულო, შენდა მომართ მონანი შენნი, არამედ ვითარცა გაქუს ძლიერება უბრძოლველი, ყოველთაგან ვნებათა განმათავისუფლენ ჩვენ, რათა გიგალობდეთ შენ, კურთხეულო, გიხაროდენ სძალო უსძლოო.

უფროსად დიდებულო და მარადის ქალწულო დედაო ქრისტეს ღვთისაო, შესწირე ლოცვა ჩვენი ძესა შენსა და ღმერთსა ჩვენსა, რათა აცხოვნოს სულნი ჩვენნი.

ყოველი სასოება ჩემი შენზედა დამიძს, დედაო ღვთისაო, დამიფარე მე საფარველსა ქვეშე შენსა.

სასოება ჩემდა მამა, შესავედრებულად ჩემდა ძე, მფარველ ჩემდა სულიწმიდა, სამებაო წმიდაო, დიდება შენდა.

ღირს-არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ, შენ ღვთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ. ყოვლად-უბიწოდ და დედად ღვთისა ჩვენისა. უპატოსნესსა ქერუბინთასა, და აღმატებით უზესთაესსა სერაბინთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყვისა ღვთისასა, მხოლოსა ღვთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ.

განანათლენ თვალნი ჩემნი, ქრისტე ღმერთო, ნუ-უკუე დავიძინო მე სიკვდიდ, და ნუ სადა სთქვას მტერმან ჩემმან: მრე ვეყავ მას.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

შემწე სულისა ჩემისა იქმენ, ქრისტე ღმერთო, რამეთუ შორის საფრთხესა მრავალსა ვვალ, მიხსენ მათგან და მაცხოვრე მე, ვითარცა სახიერმან და ვითარცა კაცთმოყვარემან.

აწდა და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოვლად დიდებულო დედაო ღვთისაო და წმიდათა ანგელოზთა უწმიდესო, დაუდუმებულად გადიდებთ გულითა და პირითა, და ღვთისმშობელად აღგიარებთ შენ, რამეთუ ჭეშმარიტად გვიშევ ჩვენ ღმერთი ხორცითა და მეოხ ხარ მარადის სულთა ჩვენთათვის.

### **ლოცვა 6, პატოსნისა და ცხოველსმყოფელისა ჯვარისადმი**

აღსდევინ ღმერთი და განიზნინენ ყოველნი მტერნი მისნი და ივლტოდენ მოძულენი მისნი პირისაგან მისისა. ვითარცა მოაკლდეს კვამლსა, მოაკლდენ, და, ვითარცა ცვილი რა დასდნის

წინაშე ცეცხლსა, ეგრეთ წარსწყმდენ ეშმაკნი პირისაგან მათისა, რომელთა უყვარსთ ღმერთი და გამოსახვენ პირჯვარსა და სიხარულითა იტყვიან: გიხაროდენ, ყოვლადპატიოსანო და ცხოველსმყოფელო ჯვარო უფლისაო, განმდევნელო ეშმაკთა შენზედა ჯვარცმულისა ძალითა, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, ჯოჯოხეთსა შინა შთასვლითა ეშმაკისა ძალისა დამორგუნველისა, რომელმანცა მოგვანიჭა ჩვენ ჯვარი მისი ყოვლადპატიოსანი, განსადევნელად ყოველთა წინააღმდეგომთა ძალთა. ჰოი, ყოვლადპატიოსანო და ცხოველსმყოფელო ჯვარო უფლისაო! შეგვეწიე ჩვენ ყოვლადწმიდისა ქალწულისა ღვთისმშობელისა და ყოველთა წმიდათა თანა, უკუნისამდე, ამინ.

### ლოცვა სათქმელი ცალკე

გვიხსენ, გვიღბინე და მოგვიტევენ, ღმერთო, ცოდვანი ჩვენნი, ნებსითნი და უნებლიეთნი, საქმითნი, სიტყვითნი გულის-სიტყვითნი და მოგონებითნი, დღისითნი და ღამითნი, გონებით და გულისხმის-ყოფით, ყოველნივე ცოდვანი ჩვენნი შეგვინდევე, ვითარცა სახიერმან და კაცთმოყვარემან.

### ლოცვა

სახიერო უფალო, შეუნდევე მოძულეთა და მაჭირვებელთა ჩვენთა. კეთილისმყოფელთა ჩვენთა კეთილი უყავ, ძმათა ჩვენთა და თვისთაცა მოჰმადლე საცხოვრებელი თხოვაი მათი და ცხოვრება საუკუნო. რომელნი სნეულ არიან, დაიცევ და კურნება მიჰმადლე, რომელნი ზღვასა შინა იჭირვიან, შეეწიე. მოგზაურთა თანა-მავალ ექმენ. განაძლიერე ღვთივდაცული ერი ჩვენი და მეუფება მისი ბრძოლასა შინა. რომელნი გვიღვწიან ჩვენ და გვწყალობენ, მიჰმადლე მათ შენდობა შეცოდებათა. რომელნიცა ლოცვასა შემოვედრებულ არიან ჩვენ უღირსთასა, შეიწყალენ დიდითა შენითა წყალობითა. მოიხსენე, უფალო, პირველ გარდაცვალებულნი მამანი და ძმანი ჩვენნი და განუსვენე მათ, სადა იგი მიხედავს ნათელი პირისა შენისა. მოიხსენე, უფალო, ძმანი ჩვენნი, რომელნი ტყვეობასა შინა არიან და იხსენ იგინი ყოვლისაგან განსაცდელისა. მოიხსენენ, უფალო, ნაყოფის მომრთმეველნი და კეთილის მოქმედნი წმიდათა ეკლესიათა შენთანი და მიეც მათ საცხოვრებელი თხოვაი მათი, და ცხოვრება საუკუნო. მომიხსენენ, უფალო, ჩვენცა მდაბალნი და ცოდვილნი და უხმარნი მონანი შენნი და განანათლე გონებანი ჩვენნი ნათლითა მეცნიერებისათა, სვლად გზასა მცნებათა შენთასა, მეოხებითა ყოველადუხრწნელისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა, და მარადის ქალწულისა მარიამისათა და ყოველთა წმიდათა შენთათა, რამეთუ კურთხეულ ხარ შენ უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

უფალო, შეგვიწყალენ. (3-ჯერ)

უფალო, იესო ქრისტე, ძეო ღმრთისაო, ლოცვითა ყოვლად წმიდისა დედისა შენისათა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩვენთათა და ყოველთა წმიდათა შენთათა, შეგვიწყალენ ჩვენ, ამინ.

## **ლოცვა ძილად დაწოლისა სავედრებელი ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა მიმართ სამარადისო**

ყოველსა ნათესავისა კაცთასა სასოებაო და სიტკბოებაო, სამკაულო, ყოველთა არსთა შექმნილთა უბრწყინვალესო ნათელო, ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო ქალწულო, რომელმან პირველ ჟამთა გამომხსნელი იგი ნათელი, აღსასრულსა ჟამთასა ხორციტა გვიშევ ჩვენ, და ბნელისა იგი მათებელი ცისკარი, მზისა მის სიმართლისა დასვლასა მზისასა, ვითარცა ელვა აღმოგვიბრწყინვე, მოგვიხსენენ ჩვენცა, რომელნი ესე მოსრულ ვართ თაყვანისცემად სიწმიდისა შენისა და წადიერად და სურვილით ვხადით სახელსა შენსა წმიდასა, წარსრული ამის დღისა მტერისა მიერნი წყლულებანი სულთა ჩვენთანი განაქარვენ, რამეთუ შენ გესავთ, მოიხილე ჩვენზედა, ტკბილითა მაგით მეოხებითა შენითა უბიწოო, წყალობის მომრთმელ გვექმენ ჩვენ ძისაგან შენისა, რათა სიბნელესა ამას წინა მდებარესა ღამისასა შენ მიერ ყოველთაგან საფრთხეთა და დაბრკოლებათა ეშმაკისათა უვნებელად თანა წარვჰხდეთ, და კვალად ცისკრისა გალობისა, ურცხვენელითა და მხიარულითა პირითა აღვიმსთოთ, დიდების მეტყველებად და მადლობისა შეწირვად ძისა და ღვთისა შენისა, უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესუ ქრისტესა, რომელისა არს დიდება, უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

## **აღსარების წინ საკითხავი ლოცვები**

ლოცვითა წმიდათა მამათა ჩუენთათა, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩუენო, შეგვიწყალებ ჩუენ. ამინ.

დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა!

მეუფეო ზეცათაო...,

წმიდაო ღმერთო...,

დიდება..., აწ და...

ყოვლად წმიდაო სამებაო...

უფალო შეგვიწყალებ (3-გზის),

დიდება, აწ და...

მამაო ჩუენო..., ვითარცა ზემოთ წერილ არს (იხ. გვ.3-4).

მოვედით, თაყვანის-ვსცეთ... (3-ჯერ), და 50-ე ფსალმუნი... (იხ. გვ. 6-7).

### **ლოცვა წმ. იოანე ოქროპირისა, აღსარებისათვის ცოდვათა და სინანულისა**

ვაი ჩემდა, რამეთუ ცოდვანი ჩემნი არიან უფროს ქვიშისა ზღვისა, და მე შეკრულ-ვარ მათგან, ვითარცა საკრველითა რკინისათა და არა მაქვს კადნიერება აღხილვად სიმაღლესა ცისასა, ვისსამე მივივლტოდე, არამედ შენდა მომართ მოწყალეო უფალო, რამეთუ ძვირ-უხსენებელ ხარ, და შენდა მომართ მოვივლტი, და მრავალთა მოწყალებათა შენთა შეუვრდები, შენ უფალო ურჩ გექმნები, და შენდავე მოვისწრაფი ძვირუხსენებლო, შენდავე მოვივლტი მრავალთა სახიერებათა შენთათვის, და ღმობიერად ვადადებ, გარე მიაქციე პირი შენი ცოდვათა ჩემთაგან, და ყოველნი უსჯულოებანი ჩემნი აღხოცენ, სახელისა შენისათვის მხოლოსა, რამეთუ არა მაქვს რომელიმცა წარგიდგინე შენ, არცა საქმენი კეთილნი, არცა გული წმიდა, არამედ სასოებაი ხოლო მაქვს შენისა მოწყალებისა, და დავსდებ სულსა ჩემსა, არამედ შენისა კაცთმოყვარებისა წინაშე, რათა გული წმიდა დაჰბადო ჩემთანა ღმერთო, და სულითა წმიდითა დამამტკიცო მე, რათა არღარა დავეცე მე კვალად, და არღარა მივიწიო ცოდვისა განწირულებასა, არამედ ამიერიტგან გმონო შენ სიმართლით და ჭეშმარიტებით ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა, რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი, და დიდება, მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

### **ლოცვა წმიდისა ამონისი**

უფალო ღმერთო ცხოვრებისა ჩუენისაო, რომელმან წინასწარმეტყველისა შენისა ნათანის მიერ, ამხილე დავითს, და შეინანა შეცოდებანი მისნი, და შენ მიჰმადლე შენდობა, და მანასესი შემდგომად ლოცვისა შეიწირენ, შენ მეუფეო მოწყალეო გვედრები, შეიწირენ აწცა ჩემ უღირსისა მონისა შენისაგან სინანულით ვედრება შეცოდებათათვის, შენისაებრ სახიერებისა უგულუბელს ჰყვენ ყოველნი შეცოდებანი ჩემნი, რამეთუ შენ უფალმან ჰბრძანე სამეოც და ათშვიდ გზის შენდობა, რომელნი შესცვივიან ცოდვასა, რამეთუ დიდ არს წყალობა შენი, რამეთუ შენ ხარ ღმერთი მონანულთა, და შენი არს ძალი და დიდება, მამისა, და ძისა, და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

### **ლოცვა წმიდისა ეფრემისი:**

ვსცოდე მე და არა განვეშორე ცოდვასა, და მე ვევედრები მოწყალებასა შენსა, დამიფარე მე ჰე კეთილო, მისაჯე მე და წმიდა მყავ ჰე ტკბილო, მილხინე მე, რამეთუ წყლულ ვარ, მაცხოვრე მე, რამეთუ მოკვედ ცოდვითა, სუნნელ მყავ მე, რამეთუ წყლულებანი ჩემნი შეყროლდეს და სირცხვილმან დამცა მე, აღმადგინე, რომელი ესე დანთქმულ ვარ მღვიმესა შინა და დაცემულ ვარ, აღმადგინე მე, მე ვარ, რომელმან შევსცვალე სჯული და ბიწიან ვყავ, დაბნელებული განმანათლე, მომაქციე მე, ცთომილი ესე, და მომიძიე წარწყმედული ესე. ვაიმე, უფალო შესვარულსა ამას, რომელი არა ღირს ვარ აღხილვად ზეცად.

## ლოცვა წმიდისა ისაკ განშორებულისა

უფალო იესო ქრისტე ღმერთო ჩუენო, რომელი ეგე მოწყალებითა შენითა სტიროდი ლაზარეს ზედა, და დასთხიენ მის ზედა ღმობიერებით წმიდანი იგი ცრემლნი შენნი. შეიწირენ ცრემლნიცა ესე სიმწარისა ჩემისა და ვნებითა მით შენითა წმიდითა ვნებათაგან სულსა ჩემსა ულხინე. და წყლულებითა შენითა წმიდითა წყლულებათაგან სული ჩემი განჰკურნე, და სუნნელებითა მით უხრწნელთა ხორცთა შენთათა სიმყრალე ხორცთა ჩემთა განასუნნელე, და ნაღვლითა მით, რომელი დაბადებულთა შენთაგან მიიღე, დაატკბე სული ჩემი სიმწარისა მისგან, რომელ მოვიღე მტერთა ჩემთაგან. აღმართებითა წმიდისა ჯვარისა შენისათა, აღმართე გონება ჩემი ეშმაკთაგან მიდრეკილი მიდრეკითა წმიდისა თავისა შენისათა ჯვარსა ზედა, აღმართე თავი ჩემი მტერთაგან დათრგუნვილი ხელითა მით წმიდითა, რომელნი განიპყრენ ჯვარსა ზედა, აღმომიყვანე მე სიღრმეთაგან ცოდვათა ჩემთასა. ყვრიმლის-ცემითა მით და ნერწყვითა პირისა შენისა წმიდისათა განწმიდე პირი ჩემი შებღალული ცოდვითა და უსჯულოებითა ჩემითა, და სულითა მით წმიდითა შენითა რომელი ჯვარსა ზედა შეჰვედრე მამასა, წარმიძედ მე მოსლვად შენდა მიმართ გზათაგან უსჯულოებისა ჩემისათა, რამეთუ არა მაქვს, მაცხოვარ, გული მწუხარე მოძიებად შენდა, არა მაქვს სინანული და ღმობიერება, რომელი მოაქცევს განწირულთა სასოებად, არა მქონან მეუფეო ცრემლნი ნუგეშინის-საცემელად სულისა ჩემისა. დაბნელებულ-არს მეუფეო გონება ჩემი და ვერ მოიქცევის შიშსა შენსა, განგრილებულ არს გული ჩემი სიმხურვალისა სიყვარულისა წმიდისა შენისა, და არა აქვს გულსა ჩემსა განბანა ცრემლითა მით რომელი სათნო არს შენდა: არამედ შენ იესო ქრისტე მეუფეო ჩემო და ღმერთო ჩემო, რომელმან მომიყიდე სისხლითა შენითა წმიდითა აწცა მომმადლე მე სინანული და გული ტკივნეული რათა გამოვიდე მე ყოვლითა გულითა ჩემითა ძიებად შენდა მწყემსისა მაგის სახიერისა და მკურნალისა მაგის განწირულთასა, რამეთუ თვინიერ შენსა არა განიკურნებთან წყლულებანი ესე სულისა ჩემისანი და უცხო ვარ მე ყოვლისაგან კეთილისა, უკეთუ არა მომმადლე მე მადლითა შენითა მამისა მის მიერ წმიდისა შენისა რომელმან უწინარეს საუკუნეთა გშვა შენ თანამოსაყდრეთ მისსა. განაახლე სულსა შორის ჩემსა შევნიერება იგი ხატისა შენისა, და სულისა მიერ წმიდისა შენისა განანათლე სული ჩემი დაბნელებული ცოდვითა. მეუფეო ჩემო მომმადლე მე სახიერო მადლი შენი, სახიერო და კაცთმოყვარეო დაღაცათუ მე დაგიტევე შენ, არამედ შენ სახიერებითა შენითა ნუ დამიტეობ მე დაღაცათუ მე წარვსწყმიდე ნებსით ჩემით თავი ჩემი, სამწყსოსა შენისაგან, არამედ შენ მოწყალებითა შენითა გამოვედ ძიებად ჩემდა და შემიყვანე ბაკსა შენსა წმიდასა და თანა შემრაცხე მე ცხოვართა მათ თანა კურთხეულისა სამწყსოსა შენისათა და გამომზარდე მე მათ თანა სამოვართა მით საიდუმლოთა წმიდათა შენთათა და ღირს ვიქმნე უღირსი ესე მონა შენი ხილვად ნათელსა პირისა შენისასა. რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი, და დიდება, მამისა და ძისა, და წმიდისა სულისა, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

## ლოცვა წმ. ტიმოთესი

უფალო ღმერთო დამბადებელო ყოველთაო, ლოცვა ჩუენი ისმინე ქრისტეს-მოყვარისა ერისა შენისა, თანამოსახელისათვის, და მოიხსენე შენი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია, რომელი მოიგე სისხლითა შენითა და დაჰსხენ წყლულებანი შინაგან მწვალებელთანი, და მოეც ერთობა მართლმადიდებელთა შენთა, და შეზღუდენ იგინი ზეგარდამოითა შეწევნითა, და ანგელოსთა წესთა განძლიერებულნი, გალობად და დიდებად ყოვლადწმიდისა და

უხრწნელისა სახელისა შენისა, დაიკვენ, სიმტკიცით ერი ჩუენი, და მტერთა მომართ მძლეობა სამარადისო მიანიჭე მას, გულისხმის-ყოფა და მშვიდობა შენი მიმადლე სოფელსა, და მიანიჭე ქუეყანასა ნაყოფთა უხვება, და ერსა საზრდელთა იაფობა, რათა განვსძღეთ გლახაკნი შენითა პურითა, და მარადის მადლობისა გალობასა შევსწირავდეთ შენდა, კაცთ-მოყვარისა ღმრთისა ჩუენისა, თანა მამით, და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნიითი უკუნისამდე, ამინ.

### 90-ე ფსალმუნი:

რომელი დამკვიდრებულ არს შეწევნითა მაღლისათა, საფარველსა ღმრთისა ზეცათასა განისვენოს. ჰრქვას უფალსა: ხელის აღმპყრობელი ჩემი ხარი შენ და შესავედრებელი ჩემი, ღმერთი ჩემი, და მე ვესავ მას. რამეთუ მან გიხსნეს შენ საფრხისა მისგან მონადირეთასა და სიტყვისა მისგან განსაკრთომელისა. ბეჭთ-საშუვალთა მისითა გფარვიდეს შენ, და საგრილსა ფრთეთა მისთასა ესვიდე; საჭურველად გარე-მოგადგეს შენ ჭეშმარიტება მისი. არა გეშინოდის შიშისაგან ღამისა და ისრისაგან, რომელი ფრინავნ დღისი. დაწლისაგან, რომელი ვალნ ბნელსა შინა, შემთხვევისაგან და ეშმაკისა შუა დღისა. დაეცნენ მარცხენით შენსა ათასეულნი და ბევრეულნი – მარჯვენით შენსა, ხოლო შენ არა მიგეახლნენ. ხოლო შენ თვალითა შენითა ჰხედვიდე და მისაგებელი ცოდვილთა იხილო. რამეთუ შენ, უფალი, ხარ სასო ჩემდა და მაღალი გიყოფიეს შესავედრებელად შენდა. არა შევიდეს შენდა ძვირი, და გვემაი არა მიეახლოს საყოფელთა შენთა. რამეთუ ანგელოსთა მისთადა უბრძანებებს შენთვის დაცვად შენდა ყოველთა შინა გზათა შენთა. ხელთა მათთა ზედა აღგიპყრან შენ, ნუსადა წარსცე ქვასა ფერხი შენი. ასპიტსა და ვასილისკოსსა ზედა ხვიდოდი და დასთრგუნო შენ ლომი და ვეშაპი. რამეთუ მე მესვიდა, და ვიხსნა იგი და დავიფარო იგი, რამეთუ იცნა სახელი ჩემი. ხმა-ყოს ჩემდამო, და მე ვისმინო მისი და მის თანა ვიყო ჭირსა შინა; ვიხსნა იგი და ვადიდო იგი. დღეგრძელებითა განვაძღო იგი და უჩვენო მას მაცხოვარება ჩემი.

უფალო, იესო ქრისტე, მეო ღმრთისაო, ლოცვითა ყოვლად წმიდისა დედისა შენისათა, ღირსთა და ღმერთშემოსილთა მამათა ჩუენთათა და ყოველთა წმიდათა, შეგვიწყალებ ჩუენ, ამინ.

## აღსარების შემდეგ წასაკითხი ლოცვანი

ჰე! ყოვლად მოწყალო უფალო იესო ქრისტე ღმერთო ჩუენო, მომიტევე ყოველნი აურაცხელნი ცოდვანი ჩემნი, რომლითაც შეგაწყინე ღმერთო ჩემო, რომელთა დასაბამნი აღგიარნე წინაშე შენსა.

ჰოი! ყოვლად წმიდაო ღმრთისმშობელო მარადის ქალწულო მარიამ, ევედრე მესა შენსა და ღმერთსა ჩუენსა, რათა შემინდვნეს ყოველნი შეცოდებანი ჩემნი ვითარცა სახიერ არს, მოწყალე და კაცთმოყვარე.



# ლოცვები ზიარების წინ

## დასაწყისი ლოცვები

ლოცვითა წმიდათა მამათა ჩვენთათა, უფალო, იესუ ქრისტე, ღმერთო ჩვენო, შეგვიწყალებ ჩვენ.

დიდება შენდა, ღმერთო ჩვენო, დიდება შენდა.

მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულს ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე ადავსებ მაღლითა შენითა, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკვიდრე ჩვენს შორის და წმიდა მყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩვენნი.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალებ ჩვენ (3-გზის).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აჴ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგვიწყალებ ჩვენ, უფალო, გვიხსენ და გვილხინე ცოდავათა ჩვენთაგან, მეუფეო, შეგვიდევ უსჯულოებანი ჩვენნი, წმიდაო, მოიხილე და განჰკურნენ უძლურებანი ჩვენნი სახელისა შენისათვის.

უფალო შეგვიწყალებ (3-გზის).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აჴ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, ამინ.

მოვედით, თაყვანის-ვსცეთ მეუფესა ჩვენსა ღმერთსა;

მოვედით, თაყვანის-ვსცეთ და შეუვრდეთ ქრისტესა მეუფესა ღმერთსა ჩვენსა;

მოვედით, თაყვანის-ვსცეთ და შეუვრდეთ თვით ქრისტესა მეუფესა და ღმერთსა ჩვენსა;

## 50-ე ფსალმუნი

მიწყალე მე ღმერთო დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აღხოცე უსჯულოებანი ჩემი. უფროის განმბანე მე უსჯულოებისა ჩემისაგან და ცოდვათა ჩემთაგან განმწმიდე მე, რამეთუ უსჯულოებანი ჩემი მე უწყი და ცოდვაი ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის. შენ მხოლოსა შეგცოდე და ბოროტი შენ წინაშე ვყავ; რაითა განჰმართლდე სიტყვათაგან შენთა და სძლო სჯასა შენსა. რამეთუ ესერა უსჯულოებათა შინა მიუდგა და ცოდვათა შინა მშვა მე დედამან ჩემმან, რამეთუ ესერა ჭეშმარიტებაი შეიყვარე, უჩინონი და

დაფარულნი სიბრძნისა შენისანი გამომიცხადენ მე, მასხურო მე უსუპითა და განმწმიდე მე, განმზანო მე და უფროის თოვლისა განვსპეტაკენე. მასმინო მე გალობაი და სიხარული და იხარებდნენ ძუალნი დამდაბლებულნი. გარე მიაქციე პირი შენი ცოდვათა ჩემთაგან და ყოველნი უსჯულოებანი ჩემნი აღხოცენ. გული წმიდაი დაჰბადე ჩემთანა ღმერთო და სული წრფელი განმიახლე გუამსა ჩემსა. ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან. მომეც მე სიხარული მაცხოვარებისა შენისაი და სულითა მთავრობისაითა დამამტკიცე მე. ვასწავლნე უსჯულოთა გზანი შენნი და უღმერთონი შენდა მოიქცნენ. მიხსენ მე სისხლთაგან ღმერთო, ღმერთო ცხოვრებისა ჩემისაო; იხარებდეს ენაი ჩემი სიმართლესა შენსა. უფალო, ბაგენი ჩემნი აღახვენ და პირი ჩემი უთხორობდეს ქებულებასა შენსა. რამეთუ უკუეთუმცა გენება მსხვერპლი შე-მცა-მეწირა, არამედ საკურთხენი არა გთნდეს. მსხვერპლი ღმრთისა არს სული შემუსვრილი, გული შემუსვრილი და დამდაბლებული ღმერთმან არა შეურაცხყოს. კეთილი უყავ, უფალო, ნებითა შენითა სიონსა და აღაშენენ ზღუდენი იერუსალიმისანი. მაშინ გთნდეს მსხვერპლი სიმართლისა, შესაწირავი და ყოვლად დასაწუელი; მაშინ შესწირნენ საკურთხეველსა შენსა ზედა ზვარაკნი.

### **ხმა, ბ. გალობა, ა. ძლისპირი**

მოვედით ერნო. უგალობდეთ გალობითა ქრისტესა, რომელმან სასწაულითა ერი თვისი იხსნა ეგვიპტით მონებისაგან, ძლევისა გალობითა, რამეთუ დიდებულ არს.

გული წმიდა დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა.

პური ცხოვრებისა საუკუნოსა მექმენინ ხორცი წმიდა შენი, მოწყალეო უფალო, და პატიოსანი სისხლი შენი, და სენთა მრავალფერთა განსაკურნებელად, ვითარცა მოწყალე ხარ:

ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან.

სისხლსა მას შენსა, მეუფეო, ყოვლადპატიოსანსა და ხორცსა შენსა ყოვლადწმიდასა ღირს-მყავ მე არა ღირსი მოღებად ჭამად და სმად სურვილით და სარწმუნოებით, ვითარცა მოწყალე ხარ.

დიდება...

შევიგინე მე საქმითა ბოროტითა საწყალობელი, და უხრწნელისა ხორცისა და საღმრთოსა სისხლისა შენისა, უღირსი ესე კვალად ზიარებასა ღირს-მყავ, ვითარცა მოწყალე ხარ:

აწ და...

ჰოი, ქუეყანაო, კეთილო, კურთხეულო სძალო ღმრთისაო, რომელმან უმუშაკოდ გამოიღე თავწარსხმული, ცხოვრებად სოფლისა ღირს-მყავ მე ჭამად ამისაგან, რათა ვსცხოვნდე და გადიდებდე:

## გალობა, გ. ძლისპირი

კლდესა ზედა სარწმუნოებისასა დამამტკიცე, და განავრცე პირი ჩემი ზედა მტერთა ჩემთა, და ახარე სულსა ჩემსა, რათა ხმა-ვჰყო შენდა მომართ, მხოლოო რამეთუ არავინ არს წმიდა შენსა გარეშე ღმრთისა ჩუენისა.

გული წმიდა დაბადე ჩემთანა ღმერთო და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა.

ნაკადულნი ცრემლთანი, ქრისტე, მომმადლენ მე ბილწებათა გულისა ჩემისათა განწმედად, რამეთუ წმიდითა სვინდისითა განათლებული სარწმუნოებით მოვიდე შიშით მეუფეო, ზიარებად საიდუმლოთა შენთა.

ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან.

მოსატევებელად ცოდვათა ჩემთა მექმნენინ მე უხრწნელი ხორცი შენი, და საღმრთო სისხლი \_\_ სულისა წმიდისა ზიარებად და ცხოვრებად საუკუნოდ, კაცთ-მოყვარეო, და ვნებათა და ჭირთაგან გამომხსნელ და მაცხოვარ.

დიდება...

ღირს-მყვენ ჩუენ უფალო ხორცსა შენსა ზიარებად დაუსჯელად, და სისხლსა შენსა პატიოსანსა-განწმედად სულთა და ხორცთა. და რათა მექმნეს განმანათლებელ გონებისა და ვადიდებდე, ქრისტე, სახიერებათა შენთა.

აწ და...

პურისა ცხოვრებისა ტრაპეზო, ყოვლადწმიდაო, მოწყალეებათათვის ზეცით გარდამოსრულისა და ახლისა ცხოვრებისა სოფლისა მომნიჭებელად ღირს-მყავ მეცა აწ უღირსი შიშით ამისსა გემოს ხილვად, რათა ვცხონდე.

## გალობა, დ. ძლისპირი

მოხვედ, ჩუენდა ქალწულისაგან, არა ანგელოსი, არამედ თვით უფალი, განხორციელებული ღმერთი, და მიხსნენ ჩუენ ყოვლითურთ, რომელნი ვღაღადებთ, დიდებასა ძალსა შენსა.

გული წმიდა დაბადე ჩემთანა ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა.

ინებე რა ჩუენთვის ხორცთ-შესხმა, მრავალმოწყალეო უფალო, შეიწირე ვითარცა ცხოვარი ცოდვათათვის კაცთასა, ამისთვის ხოლო გევედრები, შენ, ჩემთაცა განქარვებად შეცოდებათა.

ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან.

განკურნენ სულისა ჩემისა წყლულებანი უფალო და სრულიად განმწმიდე და ღირს-მყავ, მეუფეო, ზიარებად საიდუმლოთა შენთა საღმრთოსა სერობასა უბადრუკი.

დიდება...

ვსდგეთ ყოველნი უკუე შიშით და ძრწოლით და მოწიწებით. თვალნი სულისანი ზე გვაქვდნენ, და მაცხოვრისა მიმართ ვხმობდეთ, დაგვამტკიცენ და გულისხმიერ გვეყვენ ჩუენ, ღმერთო მოწყალეო, შიშსა შენსა.

აწ და...

მოწყალე-ჰყავ ჩემ ზედა სახიერო ძე შენი, დედუფალო, და დამიცევ მე, შეუგინებელად, და უბიწოდ მონა შენი, და უვნებელად, რათა შევიწყნარო გონიერი მარგარიტი და წმიდა ვიქმნე.

### **გალობა, ე. ძლისპირი**

ნათლისა მომცემელო და საუკუნეთა შემოქმედო უფალო, ნათელსა მცნებათა შენთასა დამამტკიცენ ჩუენ, რამეთუ ჩუენ შენსა გარეშე, სახიერ, სხვა ღმერთი არა ვიცი.

გული წმიდა დაბადე ჩემთანა ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა.

ვითარცა სთქუ პირველად, ქრისტე, იქმენ აწ ჩემთანა, მდაბლისა ამისა მონისა შენისა, და ჩემთანა დაადგერ, ვითარცა აღმითქუ, რამეთუ, აჰა ესერა ვსჭამ ხორცსა შენსა საღმრთოსა, და ვსვამ სისხლსა შენსა:

ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან.

სიტყვაო ღმრთისაო და ღმერთო, ნაკვერცხალ მექმენინ მე წმიდა ხორცი შენი განმანათლებელ ჩემ დაბნელებულისა ამის, და განმწმედელ მწიკვლევეანებასა, სულისა ჩემისასა სისხლი შენი.

დიდება...

შემწიკვლებული სული და ბაგენი მქონან არა წმიდანი. და აწ ვერ ძალმიძს მიახლებად შენდა ქრისტე, და მოღებად ხორცსა შენსა, არამედ შენ გამომაჩინე ღირსად.

აწ და...

მარიამ, დედაო ღმრთისაო, სუნნელებისა შვენიერო სამკვიდრებელო, ლოცვითა შენითა ჭურად რჩეულად გამომაჩინე, რათა ზიარ ვიქმნე სიწმიდეთა საღმრთოთა ძისა შენისათა.

### **გალობა ვ, ძლისპირი.**

ღელვამან ცოდვისამან მომიცვა მე, და მრავალსა მოწყალეებასა შენსა მოვილტვი, აღმომიყვანე სახიერ, დანთქმისაგან ღმერთო ჩემო, გვედრებო.

გული წმიდა დაბადე ჩემთანა ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა.

გონება, სული და გული წმიდა ჰყვენ მაცხოვარ, და ხორციცა ჩემნი, და ღირს-მყავ მეუფეო, დაუსჯელად მიახლებად, საშინელთა საიდუმლოთა შენთა.

ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან.

რათა უცხო ვიქმნე ვნებათაგან, შენითა მადლითა, და ღირსვიქმნე ქონებად, მოგებად გონებისა სიმტკიცესა, ზიარებისათვის წმიდათა შენთა საიდუმლოთა.

დიდება...

შიშით და ძრწოლით მივეახლნეთ ყოველნი საღმრთოთა საიდუმლოთა მეუფისათა, და წმიდა ხორცი მისი მოვილოთ. წმიდა და ყოვლად პატიოსანი სისხლი მისი.

აწ და...

ღმერთო და სიტყვაო ღმრთისაო, წმიდაო წმიდა-მყავ მე სრულიად აწ მომავალი საღმრთოთა მიმართ შენთა საიდუმლოთა, წმიდისა დედისა შენისა ვედრებითა:

### **კონდაკი, ხმა, ბ. ზენათა ძიებითა**

საღმრთოსა ხორცისა და სისხლისა, მოღება ქრისტე, განსაწმედელ მექმენინ ნუ დასასჯელ ამით ზიარება, და ნუ თანა-მდებ, არამედ განსაწმედელ შეგინებისა სულისა და ხორცთასა, და ზიარებად ცხოვრებისა საუკუნოსა და უკვდავებისა.

### **გალობა, ზ. ძლისპირი**

ხატისა მისთვის ოქროსა, რომელი იმსახურა, ველსა მას დეირისასა, სამთა ყრმათა შიში შეურაცხევს მძლავრისა მის, და შეითხივნეს სახმილსა მას, და შეცვრეულნი ესრეთ ღაღადებდეს და იტყოდეს: კურთხეულ ხარ შენ უფალო, ღმერთო მამათა ჩუენთაო:

გული წმიდა დაბადე ჩემთანა ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა.

წყარო სახიერებისა, არს ზიარება ქრისტე, უკვდავთა შენთა საიდუმლოთა, აწ უკვე მექმენინ მე წყარო სახიერებისა, ნათელ უვნებელობისა, და სათნოებისა მიმართ უწმიდესობა, და წარმართებისა და აღმატებისა მონიჭება, მხოლოო სახიერო, რათა გადიდებდე.

ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან.

რათა განვერნეთ ვნებათაგან მტერისათა, იწროებათა და ყოველთაგან საღმობათა შიშით, სიყვარულით და სურვილით კაცთმოყვარე, მოვილტვი აწ, შენისა მიმართ უკვდავისა და საღმრთოსა საიდუმლოსა და გიგალობ შენ: კურთხეულ ხარ შენ უფალო, ღმერთო მამათა ჩუენთაო.

დიდება...

სულო ჩემო უბადრუკო, სულო ვნებულო, შეძრწუნდი მხედველი საიდუმლოსა დიდებულსა. სულთქმით ცრემლეოდე მკერდსა ცემით, ხმობდი და იტყოდი – ღმერთო განმწმიდე მე ვითარცა მეძავი ცოდვათა ჩემთაგან ღმერთო მამათა ჩუენთაო:

აწ და...

მაცხოვარი ქრისტე შევ ზესთა ცნობისა ღმრთივ-მიმადლებულო, გვედრები შენ წმიდასა, ღმობიერად მონა შენი არაწმიდა, მნებებელი აწ, ყოვლადწმიდათა მიმართ საიდუმლოთა მიახლებად, განმწმიდე მე, ყოვლისაგან შეგინებისა, ხორცთა და სულისა.

### გალობა, ე. ძლისპირი

სახმილად გარდამოსულსა, ყრმათა ებრაელ-თათვის ღმერთსა, რომელმან ცეცხლი ცვარად შესცვალა, აკურთხევდით ყოველნი საქმენი უფლისანი უფალსა, და ამადლებდით მას უკუნისამდე:

გული წმიდა დაბადე ჩემთანა ღმერთო და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა.

წმიდისა ზეციერისა, და შესაძრწუნებელისა საიდუმლოსა, და საღმრთოსა სერობისა, საიდუმლოდ ზიარებასა, ღირს-მყავ. აწ სასოწარკვეთილი ესე, ქრისტე ღმერთო, მაცხოვარო ჩემო.

ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან.

მოწყალებისა შენისა მომართ მოვილტვი სახიერ, და ვხმობ შიშით, ჩემთანა ეგე მაცხოვარ, და მე შენთანა ვითარცა სთქუ, რათა ესერა მინდობითა წყალობათა შენთათა ვსჭამ ხორცსა, და ვსვამ სისხლსა შენსა.

დიდება...

ვსძრწი შეწყნარებად ცეცხლისა, ნუ უკვე შემწვას, ვითარცა ცვილი, და ვითარცა თივა, ჰოი, საშინელი საიდუმლო, ჰოი, მოწყალება ღმრთისა თუ ვითარ, საღმრთოსა ხორცსა და სისხლსა მე თიხა, ესე ვეზიარო და უკვდავ ვიქმნე.

აწ და...

საღმრთო პური ცხოვრებისა საშოსა შენსა ღმრთისა დედაო, ჭემმარიტად შეიცხო, და დაიცვა უვნებელად უბიწოო. ამისთვისცა, ვითარცა მზრდელსა ჩუენსა გიგალობთ შენ ყოველნი, უკუნისამდე.

## გალობა, თ. ძლისპირი

დაუსაბამოსაგან მამისა ძე ღმრთისა გამოსჩნდა ქალწულისაგან, მხსნელად ჩუენდა განხორციელდა. განგვანათლებს დაბნელებულთა და შემოჰკრებს ერთად განბნეულთა, რათა სარწმუნოებით მშობელსა მისსა ვადიდებდეთ:

გული წმიდა დაბადე ჩემთანა ღმერთო და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა.

განიცადეთ და იხილეთ, ქრისტე არს უფალი, რათა ჩუენტვის მსგავს ჩუენდა, ქმნილი მოვიდა, და კვალად მომავალ არს. და ერთ გზის თავი თვისი შესწირა, ვითარცა მსხვერპლი თვისისა მამისა, და მარადის დაიკლვის განწმედად მიმღებელთა მისთა:

ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან და სულსა წმიდასა შენსა ნუ მიმიღებ ჩემგან.

სული ჩემი ხორცთა თანა განსწმიდე მეუფეო, და განანათლე შენ საღმრთოდ, რათა იქმნას სახლ შენდა, და ზიარ იქმნას საიდუმლოთა შენთა, სიწმიდით ერთ არსად მამისა თანა, და სულისა შენისა თანა მცნობელი კეთილისმყოფელო და მრავალმოწყალეო:

დიდება...

ვითარცა ცეცხლი მექმენინ მე, და ვითარცა ნათელი ხორცი შენი, და სისხლი შენი პატიოსანი მაცხოვარო ჩემო, შემწველ ცოდვათა ნივთსა და დამწველ ეკალსა ვნებათასა, და ყოვლითურთ განმანათლე მე, თაყვანისმცემელი შენისა ღმრთაებისა.

აწ და...

ღმერთი განხორციელდა წმიდათა სისხლთა შენთაგან, რომლისათვისცა ყოველი ნათესავი გიგალობს შენ დედოფალო, და სიმრავლე გონიერთა გადიდებს, ვითარცა შენ მიერ ბრწყინვალედ მხილველნი, ყოველთა მეუფისა ბუნებით კაცთათა.

ღირს-არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ, შენ ღვთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ, ყოვლად-უბიწოდ და დედად ღვთისა ჩვენისა. უპატიოსნესსა ქერუბინთასა, და აღმატებით უზესთაესსა სერაბინთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყვისა ღვთისასა, მხოლოსა ღვთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ (3-გზის).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგვიწყალენ ჩვენ, უფალო, გვიხსენ და გვილხინე ცოდვათა ჩვენთაგან, მეუფეო, შეგვიინდეგ უსჯულოებანი ჩვენნი, წმიდაო, მოიხილე და განჰკურნენ უძლურებანი ჩვენნი სახელისა შენისათვის.

უფალო შეგვიწყალენ (3-გზის).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, ამინ.

### **ტროპარი დღისა ანუ დღესასწაულისა, ხოლო უკეთუ არს ალილუია ესენი:**

მიწყალენ ჩუენ, უფალო, შემიწყალენ ჩვენ, რამეთუ ყოველსავე სიტყვის-მიცემისაგან უღონო ვართ, გარნა ამას ვედრებასა შენ, მეუფისა სახიერისა, ცოდვილნი ესე შევსწირავთ. მიწყალენ ჩუენ, უფალო, შეგვიწყალენ ჩუენ.

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა.

უფალო, შემიწყალენ ჩუენ, რამეთუ შენ გესავთ, ნუ განმირისხდები ჩუენ ფრიად, და ნუცა მოიხსენებ უსჯულოებათა ჩუენტა, არამედ მოიხილე ჩუენზედა წყალობით, ვითარცა სახიერ ხარ, და გვიხსენ ჩუენ სამართლად რისხვისაგან შენისა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი ჩუენი, და ჩუენ ვართ ერნი შენნი, ყოველნივე ქმულნი ხელითა შენთანი ვართ და სახელი შენი წოდებულ არს ჩუენზედა, და შემიწყალენ ჩუენ.

აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მოწყალეების კარი განგვიღე, კურთხეულო ღმრთისმშობელო, რათა, რომელნი ესე შენ გესავთ, არა დავეცნეთ, არამედ განვერნეთ წინააღმდგომთა მტერთაგან, რამეთუ შენ ხარ ცხოვრება ნათესავისა ქრისტიანეთასა.

უფალო შეგვიწყალენ (40-ჯერ).

### **და ლოცვა ესე სერობისა.**

უბიწოო, შეუგინებელო, უხრწნელო, ღვთისა სძალო დედოფალო, რომელმან დიდებულითა შობითა შენითა კაცნი ღმერთსა შეაერთენ და განგდებული ბუნება ნათესავისა ჩუენისა ზეცისა ძალთა შეაერთე, უსასო ქმნილთა სასოებაო, მბრძოლვილთა შემწეო, განმზადებულო ხელის აღმპყრობელო შენდა მოლტოლვილთაო და ყოველთა ქრისტიანეთა შესავედრებელო.

ნუ მომიძაგებ მე ცოდვილსა ამას, რომელმან შეკრებითა ბილწთა გულისთქმათა, ყოვლითურთ სიტყვით და საქმით თავი ჩემი უცხო ვყავ, გემოსა და უდებებასა მეცნიერებით დავემონე, არამედ ვითარცა კაცთნოყვარე და დედა კაცთმოყვარისა ღვთისა, მოწყალე იქმენ ჩემ უძლებსა და ცოდვილსა ზედა. შეიწირე მწიკვლევანთაგან ბაგეთა შეწირული ვედრება ჩემი, მხედველმან ძისა შენისა, მიმართ, მეუფისა და უფლისა ჩუენისა, დედობრივისა კადნიერებისამან, შეიწირე, რათა განმიხვნეს მე ნაწლევნი თვისისა სახიერებისა და კაცთმოყვარებისანი და უგულებელ-ყვნეს ჩემნი აურაცხელნი შეცოდებანი.



მომაქციე მე სინანულად და მცნებათა მისთა მუშაკად გამოცდილად გამომაჩინე მე და მექმენ მე კეთილისმოყვარე, მარადის თანალმობილ მოწყალე და აწინდელსა ამას ცხოვრებასა მხურვალე ზედამდგომელ და შემწე, წინააღმდგომთა ძალთა მაოტებელ და ცხოვრებისა მიმართ წარმმართველ, და ჟამსა განსვლისა ჩემისასა შეეწიე უზადრუკსა სულსა ჩემსა, და ბნელნი იგი პირნი ბოროტთა ეშმაკთანი შორს განიოტენ ჩემგან.

ხოლო საშინელსა მას დღესა განკითხვისასა, საუკუნოსა სასჯელისაგან მიხსენ და გამოუთქმელსა მას დიდებასა ძისა შენისასა და ღვთისა ჩვენისასა მკვიდრად გამომაჩინე, რომლის მი-მცა მთხვეულ ვართ, დედოფალო, ყოვლადწმიდაო ღვთისმშობელო, შეწევნითა და შუამდგომელობითა მხოლოდ შობილისა ძისა შენისა, უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესო ქრისტესასა, რომელსა ჰშვენის ყოველი დიდება, პატივი და თაყვანისცემა თანა მამით და ყოვლადწმიდით, სახიერით და ცხოველსმყოფელით სულითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ხოლო ხვალისა შემდგომად ჟამნისა ჩვეულებრივსა მის ლოცვისა, რომელიცა ინებებს ზიარებად იტყვის, კურთხეულ არს.., ესრეთ

მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულსა ჭეშმარიტებისაო, რომელი ყოველგან ხარ და ყოველსავე ადავსებ მაღლითა შენითა, საუნჯეო კეთილთაო, მომნიჭებელო ცხოვრებისაო, მოვედ და დაემკვიდრე ჩვენს შორის და წმიდა მყვენ ჩვენ ყოვლისაგან ბიწისა და აცხოვნენ, სახიერო, სულნი ჩვენნი.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ (3-გზის).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგვიწყალენ ჩვენ, უფალო, გვიხსენ და გვილხინე ცოდავათა ჩვენთაგან, მეუფეო, შეგვიინდევე უსჯულოებანი ჩვენნი, წმიდაო, მოიხილე და განჰკურნენ უძლურებანი ჩვენნი სახელისა შენისათვის.

უფალო შეგვიწყალენ (3-გზის).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, ამინ.

უფალო შეგვიწყალენ (12-ჯერ),

დიდება, აწ და...

მოვედით, თაყვანის-ვსცეთ მეუფესა ჩვენსა ღმერთსა;

მოვედით, თაყვანის-ვსცეთ და შეუვრეთ ქრისტესა მეუფესა ღმერთსა ჩვენსა;

მოვედით, თაყვანის-ვსცეთ და შეუვრდეთ თვით ქრისტესა მეუფესა და ღმერთსა ჩვენსა;

### 22-ე ფსალმუნი:

უფალმან მმწყსოს მე და არა მაკლდეს. ადგილსა მწვანვილსა მუნ დამამკვიდრა მე; წყალ-თა ზედა განსასვენებელთასა გამომზარდა მე. მოაქცია სული ჩემი და მიძლოდა მე გზათა სიმართლისათა სახელისა მისისათვის. ვიდოდიათუ შორის აჩრდილთა სიკვდილისათა, არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ ჩემ თანა ხარ; კვერთხმან შენმან და არგანმან შენმან \_ ამათ ნუგეშინის-მცეს მე. განჰმზადე წინაშე ჩემსა ტაბლა წინაშე მაჭირვებელთა ჩემთა; განაპოხე ზეთითა თავი ჩემი და სასმელმან შენმან დამათროს მე ვითარცა ურწულმან. წყალობა შენი, უფალო, თანამავალ მეყავნ მე ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა, დამკვიდრებად ჩემდა სახლსა უფლისასა, განგრძობასა დღეთასა.

### 23-ე ფსალმუნი:

უფლისა არს ქვეყანა და სავსება მისი, სოფელი და ყოველნი დამკვიდრებულნი მას შინა. რამეთუ მან თავადმან ზღვათა ზედა დააფუძნა იგი და მდინარეთა ზედა განჰმზადა იგი. ვინ აღვიდეს მთასა უფლისასა, ანუ ვინ დადგეს ადგილსა წმიდასა მისსა? უბრალო ხელითა და წმიდა გულითა, რომელმან არა აღიღო ამაოებასა ზედა სული თვისი და არცა ეფუცა ზაკვით მოყვასსა თვისსა. ამან მოიღოს კურთხევა უფლისაგან და წყალობა ღმრთისაგან მაცხოვრისა მისისა. ესე არს ნათესავი, რომელი ეძიებს უფალსა, ეძიებს ხილვად პირსა ღმრთისა იაკობისსა. აღახვენით ბჭენი თქვენნი, მთავარნო, და აღახვენით ბჭენი საუკუნენი და შევიდეს მეუფე დიდებისა. ვინ არს ესე, მეუფე დიდებისა? უფალი ძლიერი და მტკი-ცე, უფალი, ძლიერი ბრძოლასა შინა. აღახვენით ბჭენი თქვენნი, მთავარნო, და აღახვენით ბჭენი საუკუნენი და შევიდეს მეუფე დიდებისა. ვინ არს ესე, მეუფე დიდებისა? უფალი ძალთა თავადი არს მეუფე დიდებისა.

### 115-ე ფსალმუნი:

მრწმენა, მე რომლისთვისცა ვიტყოდე, ხოლო მე დავმდაბლდი ფრიად. და ვსთქუ განკვირვებასა ჩემსა, რამეთუ: ყოველი კაცი ცრუ არს. რა მივაგო უფალსა ყოვლისავეთვის, რომელი მომაგო მე? სასუმელი ცხოვრებისა მოვიღო და სახელსა უფლისასა ვხადო. ლოცვანი ჩემნი უფალსა მივსცნე წინაშე ყოვლისა ერისა მისისა. პატიოსან არს წინაშე უფლისა სიკვდილი წმიდათა მისთა. ჰოი უფალო, მე მონა შენი, მე მონა შენი და მე მხევლისა შენისა; განხეთქენ საკრველნი ჩემნი. შენდა შევწირო მსხვერპლი ქებისა და სახელსა უფლისასა ვხადო. ლოცვანი ჩემნი უფალსა მივსცნე წინაშე ყოვლისა ერისა მისისა. ეზოთა სახლისა უფლისათა, შორის შენსა, იერუსალემ!

დიდება.., აწ და...

ალილულა 3-ჯერ. მეტანია 3-გზის.

### ტროპარი. ხმა 3

უსჯულოებანი ჩემნი უგულებელსყვენ უფალო, ქალწულისაგან შობილო, და გული ჩემი განსწმიდე, და ტაძარ მყავ მე უხრწნელისა ხორცისა და სისხლისა შენისა, ნუ განმაგდებ მე პირისა შენისაგან, მხოლოო რომელსა გაქვს დიდი წყალობა.

დიდება...

ზიარებად სიწმიდეთა შენთა ვითარ ვიკადრო არა ღირსმან, ხოლო უკეთუ ვიკადრო შენდა წარმოდგომად ღირსთა თანა, სამოსელი ჩემი მამხილებს, რათა არა არს სერობისა, დასჯილება და მხილება, და შეგინება მრავალმცოდველისა სულისა ჩემისა განსწმიდე უფალო, და მაცხოვრე მე, ვითარცა კაცთმოყვარე ხარ:

აწ და...

აურაცხელ არიან სიმრავლენი ცოდვათა ჩემთანი წმიდაო ღმრთისმშობელო, შენდა მოვივლტი ქალწულო უბიწოო, და ვითხოვ წყალობასა. მოხედენ წყლულებასა ზედა სულისა ჩემისასა ევედრე ძესა შენსა, და ღმერთსა ჩუენსა, მოტევენად ურიცხვთა მათ ბრალთა ჩემთა, მხოლოო კურთხეულო:

### ხოლო წმიდასა და დიდსა ხუთშაბათს სთქუ ესე: ხმა 7

რაჟამს დიდებულნი მოწაფენი საბანელსა მას სერობისასა განათლდებოდეს, მაშინ უსჯულო იუდა ვეცხლისმოყვარეობისა სენითა დაბნელდებოდა და უსჯულოთა მსაჯულთა შენ მართალსა მსაჯულსა მიგცემდა. იხილეთ, ჰოი, მორწმუნენო, ტრფიალი იგი ვეცხლისა, რომელმან მისთვის შიშთვილიბა. და ივლტოდით უძღებისა მისგან სენისა, რომელმან მოძღვარსა თვისსა ზედა ესე ვითარი იკადრა. არამედ, რომელმან ყოველივე სიბრძნით განაგენ კაცთმოყვარე ქრისტე ღმერთო, დიდება შენდა.

უფალო შეგვიწყალენ (40-ჯერ) და მეტანია რაოდენიცა გენებოს.

ოდეს გენებოს ხორცი სამეუფო მიღებად ჰოი, კაცო: შიშით მიეახლე, რათა არა დაიწვა, რამეთუ ცეცხლი არს: და რაჟამს გენებოს შესმად სისხლი საღმრთო, და შერთუა მისთანა: დაეგე პირველ მაწუხებელთა შენთა და ესრეთ სასოებით მივედ ჭამად, საიდუმლოსა მის.

### ლოცვა წმ. დიდისა ბასილისა

მეუფეო, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩუენო, წყაროო ცხოვრებისა და უკვდავებისაო, ყოვლისა დაბადებულისა, ხილულისა და უხილავისა შემოქმედისა, დაუსაბამოსა მამისა თანა სამარადისოო, ძეო და თანა დაუსაბამოო, რომელმან მრავლისა სახიერებისათვის, უკანასკნელთა დღეთა, ხორცი შეიმოსენ, და ჯვარს ეცვი და დაიკალ, ჩუენ უმადლოთა და ძვირისმოქმედთათვის, და თვისითა სისხლითა განაახლე განხრწნილი ცოდვითა ბუნება ჩუენი. თვით უკვდაო მეუფეო, შეიწირე ჩემ ცოდვილისა სინანული, და მოჰყავ ყური შენი ჩემდა და ისმინე სიტყვათა ჩემთა, რამეთუ ვსცოდე, უფალო, ვსცოდე ცად მიმართ, და არა

ვარ ღირს აღხილვად სიმაღლედ მიმართ დიდებისა შენისა, რამეთუ განვარისხე სახიერება შენი, და მცნებათა შენთა გარდავხედ, არცა ვისმინე ბრძანებათა შენთა, არამედ შენ, უფალო, რომელი ძვირ-უხსენებელ ხარ, სულგრძელ და მრავალმოწყალე, არა მიმეც მე წარწყმედად უსჯულოებათა თანა ჩემთა, მარადის მომლოდნემან ჩემისა მოქცევისამან, რამეთუ შენ სთქუ, კაცთმოყვარეო, წინასწარმეტყველისა შენისა მიერ, ვითარმედ: „ნებსით არა მნებავს სიკვდილი ცოდვილისა, არამედ მოქცევა და ცხოვრება მისი“. რამეთუ არა გნებავს, მეუფეო, ხელთა შენთა დაბადებულისა წარწყმედა, და არცა გთნავს წარწყმედა კაცთა, არამედ, გნებავს ყოველთა ცხოვრება და მეცნიერებასა ჭეშმარიტებისასა მოსვლა. ამისთვისცა დაღაცათუ არა ღირს-ვარ ცასა და ქვეყანასა, და ამასცა საწუთოსა ცხოვრებასა, ყოვლითურთ თავი ჩემი დავამორჩილე ცოდვასა და გემოთა დავემონე, და ხატი შენი უხმარვჰყავ, არამედ ვინათგან ქმნული და დაბადებული შენი ვარ, არა უმეცარ ვარ თვისსა ცხოვრებასა საწყალობელი, არამედ აურაცხელისა მოწყალებისა შენისა მომართ კადნიერად მოვალ; შემიწყნარე უკვე მეცა, კაცთმოყვარეო უფალო, ვითარცა მეძავი, ვითარცა ავაზაკი, ვითარცა მეზვერე, და ვითარცა უძღები, და აღილე ტვირთი მძიმე ცოდვათა ჩემთა, რომელმან აღიხვენ ცოდვანი სოფლისანი, და უძღურებანი კაცთა განჰკურნენ, და მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა შენდა მოუწოდე განსვენებად; რომელი არა მოხვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად, განმწმიდე მე ყოვლისაგან შეგინებისა ხორცთა და სულისა, და მასწავე მე სრულყოფად სიწმიდითა შიშსა შინა შენსა, რათა წმიდითა მოწამებითა სინდისისა ჩემისათა, სიწმიდეთა შენთა ნაწილსა შემწყნარებელი, შევერთო წმიდასა ხორცსა შენსა და სისხლსა, და მაქვნდე შენ დამკვიდრებულად, და ეგო ჩემ-შორის თანა მამით და სულით წმიდითურთ. ჰე, უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩემო, რათა არა სასჯელ მეყოს მე ზიარება ყოვლადწმიდათა და ცხოველს-მყოფელთა საიდუმლოთა შენთა, ნუცა უძღურ ვიქმნე სულით და ხორცით, რომელთაცა უღირსად ვეზიარები, არამედ მომეც მე ვიდრე უკანასკნელ აღმოფხვინვად ჩემდამდე, დაუსჯელად მოღებად ნაწილი სიწმიდეთა შენთა, სულისა წმიდისა ზიარებად, საგზალ ცხოვრებისა საუკუნოსა, და კეთილ-მითვალულ სიტყვისსაგებელ წინაშე საშინელსა სამსჯავროსა შენსა, რათა მეცა ყოველთა რჩეულთა შენთა თანა, ზიარ ვიქმნე უხრწნელთა კეთილთა შენთა, რომელი განუმზადე მოყვარეთა შენთა, უფალო, რომელი მათთანა დიდებულ ხარ უკუნისამდე, ამინ.

## **ლოცვა წმ. მამისა იოანე ოქროპირისა. 2**

უფალო ღმერთო ჩემო, უწყი, რამეთუ არა ვარ ღირს, არცა კმა, რათა სართულსა ქვეშე სახლსა სულისა ჩემისასა შემოხვიდე, ამისთვისცა, რამეთუ სრულიად ოხერ და დაცემულ არს, და არა გაქვს ჩემს შორის ადგილი ღირსი, სადა თავი მიიდრიკო, არამედ, ვითარცა მაღლით დაიმდაბლე თავი თვისი ჩუენთვის, აწცა მიითვალე სიმდაბლე ჩემი, და ვითარცა თავს-იდევ ქვაბსა შინა შობა, და ბაგასა უსიტყვთასა მიწვენა, ეგრეთვე ღირს-იჩინე ბაგასა უსიტყვისა სულისა ჩემისასა, და შეგინებულთა ხორცთა ჩემთა შემოსლვად, და ვითარცა არა უღირს-იჩინე შესვლად და სერობად ცოდვილთა თანა სახლსა სვიმონ კეთროვნისასა, ეგრეთვე სათნო-იყავ შემოსლვად სახლსა მდაბლისა სულისა ჩემისასა კეთროვანსა და ცოდვილსა, და ვითარცა არა განაგდე მსგავსად ჩემსა მეძავი, და ცოდვილი მოსრული და შემხებელი შენდა, ეგრეთვე შემიწყნარე მეცა ცოდვილი, მოსრული და შემხებელი შენი და ვითარცა არა მოიძაგე მწიკვლევიანი იგი პირი მისი, და არა-წმიდა ამბორისმყოფელი შენი. ნუცა ჩემსა მოიძაგებ უმწიკვლევიანესა მისსა პირსა, და უარაწმიდეხსა, ნუცა საძაგელთა და უარაწმიდეხთა ბაგეთა, და შეგინებულსა და არაწმიდასა ენასა ჩემსა, არამედ მეყავნ მე ნაკვერცხალი

ყოვლადწმიდისა ხორცისა, და უხრწნელისა სისხლისა შენისა, განმწმედელ და განმანათლებელ, და სიმრთელე მდაბლისა სულისა და ხორცთა და აღმასუბუქებელ სიმძიმისა მრავალთა ცოდვათა ჩემთასა, და საცოდ ყოვლისა საეშმაკოსა მოქმედებისა, სამღველ და შესაბრკოლებელ ძვირთა და ბოროტთა ჩვეულებათა ჩემთა, მომაკვდინებელ ვნებათა, დაცვად მცნებათა შენთა, შეძინებად საღმრთოსა მადლისა შენისა და თვისებად სუფევისა შენისა, არა ვითარცა შეურაცხ-მყოფელი მოვალ შენდა, ქრისტე ღმერთო, არამედ, ვითარცა კადნიერი გამოუთქმელისა სახიერებისა შენისა, რათა არა მრავალ-ყამ განშორებული ზიარებისა შენისა, სანადირო ვიქმნე გონიერისა მგელისა; ამისთვის გვედრები შენ, რამეთუ მხოლოდ ოდენ წმიდა ხარ, მეუფეო, განსწმიდე სული ჩემი და ხორცი, გონება და გული, თირკმელი, და ნაწლევნი, და ყოვლითურთ განმაახლე მე, და დანერგე შიში შენი ასოთა შინა ჩემთა, და სიწმიდე შენი მოუკლებელ-ყავ ჩემგან და მექმენ შემწე და ხელისაღმპრობელ, წარმართე მშვიდობასა შინა ცხოვრება ჩემი, და ღირს-მყავ მე მარჯვენით დგომად წმიდათა შენთა თანა, ოხითა და ვედრებითა ყოვლადწმიდისა დედისა შენისათა, უსხეულოთა მსახურთა და უხრწნელთა ძალთა, და ყოველთა წმიდათა საუკუნითგან სათნოყოფილთა შენთათა, ამინ.

### **ლოცვა წმ. სიმეონ მეტაფრასისა, 3**

მხოლოდ წმიდაო და უხრწნელო უფალო, რომელმან გამოუთქმელითა წყალობითა კაცთმოყვარეობისათა, ყოვლითურთ მიიღე თბე ჩუენი წმიდათა ქალწულებრივთა სისხლთაგან, და იშვე შენ ზესთა ბუნებისა მოსლვითა საღმრთოსა სულისათა და სათნოყოფითა სამარადისოსა მამისათა, ქრისტე იესო, სიბრძნეო ღმრთისაო, მშვიდობაო და ძალო, რომელმან სიმდაბლითა შენითა ცხოველსმყოფელი და საცხოვნებელი ვნება შეიწყნარე, ჯვარი, სამსჭვალნი, ლახვარი და სიკვდილი, მოაკვდინენ სულისაგა ჩემისა განმხრწნელნი ხორცთა ვნებანი; რომელმან დაფლვითა შენითა ჯოჯოხეთისა მეუფება წარმოსტყვენე. დაჰვლენ კეთილისა გულის-სიტყვისა მიერ ჩემნიცა ბოროტნი გულის-ზრახვანი, და ბოროტნი სულნი განაქარვენ, რომელმან მესამისა დღისა ცხოვრება-შემოსილითა აღდგომითა შენითა პირველი მამა აღადგინე დაცემული, აღმადგინე მეცა ცოდვისა მიერ შებრკოლებული, სინანულისა სახისა დადებითა, რომელმან დიდებულისა ამაღლებითა შენითა განღმრთობილი ხორცი, რომელ მიიღე, ამას მარჯვენით მამისა ჯდომითა პატივ-ეც, ღირსმყავ მეცა ზიარებითა წმიდისა შენისა საიდუმლოსათა, მარჯვენით ნაწილსა ცხონებულთასა მიმთხვევად; რომელმან მოსვლითა ნუგეშინისმცემელისა სულისა შენისათა, ჭურჭელ-პატიოსან ჰყვენ სამღვდელონი მოწაფენი შენნი, მეცა მადლისა მათისა შემწყნარებელად და ზიარებად გამომაჩინე; რომელსა გეგულვების კვალად მოსვლა განკითხვად სოფლისა სიმართლით, სათნო-მიყავ მეცა, რათა მიგეგებო ღრუბლითა მსაჯულსა და შემოქმედსა ჩემსა ყოველთა წმიდათა შენთა თანა, რათა მოუკლებლად დიდების-გმეტყველებდე და გიგალობდე შენ, თანა დაუსაბამოთ მამით შენით და ყოვლად წმიდით და სახიერით და ცხოველსმყოფელით სულით შენითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

## მისივე, 4

ვითარცა საშინელისა და პირუთვნელისა სამსჯავროსა შენისა წინაშე მდგომარე ქრისტე ღმერთო დასჯისასა მომღები, და სიტყვისგებად ბოროტთა საქმეთა ჩემთათვის. ეგრეთ დღეს პირველ მოწევნამდე დღისა, მის დასჯისა ჩემისასა, წმიდისა საკურთხეველისა მიმართ მდგომარე ვარ წინაშე შენსა, და წინაშე საშინელთა, და წმიდათა ანგელოსთა, შენთა, დასჯილი თვისისა სინდისისაგან, მოვიხუამ ბოროტთა, და უსჯულოებისა ჩემისა საქმეთა განვაცხადებ მათ და განვაქიქებ, იხილე უფალო სიმდაბლე ჩემი, და მომიტევენ ყოველნი ცოდვანი ჩემნი. იხილე, რამეთუ განმრავლდეს უფროს თმათა თავისა ჩემისათა უსჯულოებანი ჩემნი, რომელი უკუე ბოროტი არა ვქმენ, რომელი ცოდვა არა ვყავ, რომელი ძვირი არა გამოვისახე სულსა შინა ჩემსა ხოლო საქმითაცა ვქმენ სიძვა, მრუშება, ამპარტავნება, ზვაობა, ფიცი, გმობა, უქმისმეტყველება, სიცილი უჯერო, მთვრალობა, ნაყროვანება, უძღებება, სიძულვილი, შური, ვეცხლისმოყვარება, სახმართმოყვარება, ანგარება, თავისმოყვარება, დიდებისმოყვარება, ტაცება, უსამართლობა, საძაგელის-შემძინება, ხდომა, წყევა, უსჯულოება, ყოველნი საცნობელნი ჩემნი და ყოველნი ასონი შევაგინენ, განვხრწენ, უხმარვყვენ, და ყოვლითურთ საფარდულ ეშმაკთა ვიქმენ, და უწყი უფალო, რამეთუ უსჯულოებანი აღმატნეს თავსა ჩემსა, არამედ აურაცხელ არს სიმრავლე მოწყალეობათა შენთა, და წყალობა გამოუთქმელისა ძვირ-უხსენებელობისა შენისა სახიერება, და არა არს ცოდვა მძლე კაცთმოყვარებისა შენისა. ამისთვისცა ყოვლადსაკვირველო მეუფეო ძვირუხსენებელო უფალო, საკვირველ-ჰყავ წყალობა შენი ჩემ ცოდვილსა ზედა. მიჩუენე ძალი სიტკბოებისა შენისა, და გამომიცხადე სიმტკიცე კეთილ-ნაწლებობისა შენისა, და შემიწყნარე მე ცოდვილი მოქცეული, ვითარცა შეიწყნარე უძღები, ავაზაკი და მეძავი, შემიწყნარე მეცა, რომელმან უზომოდ ვსცოდე შენდამი სიტყვით და საქმით, და გულისთქმითა უჯეროთა და გულისსიტყვითა უსიტყურითა. და ვითარცა მეთაერთმეტისა ჟამისა მოსრულნი შეიწყნარენ, რომელთა ვერარა ღირსი სასყიდლისა იმოქმედეს, ეგრეთ შემიწყნარე მეცა ცოდვილი, რამეთუ ფრიად ვსცოდე, და შევიგინე, და შევაწუხე სული შენი წმიდა, და განვამწარენ კაცთმოყვარენი, ნაწლებნი შენნი, და საქმით, და სიტყვით, და გონებით, ღამესა შინა, და დღესა შინა, ცხადად და დაფარულად, ნებსით და უნებლიეთ. და უწყი, რამეთუ წარმოადგენ ცოდვათა ჩემთა, ჩემ წინაშე ეგე ვითართა, რომელნი იქმნეს ჩემ მიერ და მიმხდი სიტყვასა მათთვის, რომელნიცა მეცნიერებით ვსცოდე შეუნდობელად. არამედ უფალო, უფალო, რათა არა მართლითა მსჯავრითა შენითა, არცა გულისწყრომითა შენითა მამხილო მე. მიწყალე მე უფალო, რამეთუ არათუ მხოლოდ ოდენ უძღურ ვარ, არამედ დაბადებული შენი ვარ. შენ უკვე უფალო დაამტკიცე ჩემ შორის შიში შენი, ხოლო მე ბოროტი შენ წინაშე ვყავ. შენ მხოლოსა შეგცოდე. არამედ გევედრები, ნუ შეხვალ სასჯელსა მონისა შენისა თანა. რათა უკეთუ უსჯულოებათაებრ მომაგებდე უფალო, უფალო ვინმე დაგიტომოს, რამეთუ მე ვარ უფსკრული ცოდვათა, და არა ვარ ღირს, არც კმა აღხილვად, და ხილვად სიმაღლესა ცისასა, სიმრავლისაგან ცოდვათა ჩემთასა, რომელთა არა არს რიცხვი. რათა ყოველი ბოროტისმეტყველება, და ხელოვნება საეშმაკო, და განმხრწნელობა, ხდომა, ჩუკენობა, წულთმხრწნელობა, ძვირის ხსენება, წურთა ცოდვისა მიმართ უსიტყვება, და სხვანი რიცხვით ბევრნი ვნებანი, არა მოაკლდეს ჩემგან, რამეთუ რომლითა ცოდვითა არა განვიხრწენ. რომლითა ბოროტითა არა შევიპყარ. ყოველი ცოდვა ვქმენ, ყოველი არაწმიდება დავისახენ სულსა შინა ჩემსა, უხმარ-ვიქმენ შენ ღმრთისა ჩემისა, და კაცთა. ვინ აღმადგინოს მე ესე ვითართა ბოროტთაგან, ესე ვითარად დაცემული შეცოდებითა. უფალო, ღმერთო ჩემო, შენ გესავ, უკეთუ არსლა ჩემდა სასოება ცხოვრებისა. სძლოს კაცთმოყვარებამან შენმან

სიმრავლესა უსჯულოებათა ჩემთასა. მეყავნ მე მაცხოვარ, და მოწყალებისაებრ შენისა, და წყალობისა შენისა მილხინე. მომიტევე, შემინდევე მე ყოველი, რაოდენი გცოდე შენ, რამეთუ მრავლითა ბოროტითა აღივსო სული ჩემი, და არა არს ჩემ შორის სასოება ცხოვრებისა. მიწყალე მე ღმერთო დიდითა წყალობითა შენითა, და ნუ მომიძაგებ მე საქმეთაებრ ჩემთა, და ნუ დამსჯი მე მოქმედებათაებრ ჩემთა, არამედ მომაქციე, შემეწიე, და იხსენ სული ჩემი შემთხვევათაგან მათთა ბოროტთა, და ძვირთა ცთომათაგან. მაცხოვრე მე წყალობისა შენისთვის, რათა სადაცა განმრავლდეს ცოდვა, მუნ უფროს გარდაემატოს მადლი შენი, და გაქებდე, და გადიდებდე შენ ყოვლადვე, ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა. რამეთუ შენ ხარ ღმერთი მონანულთა, და მაცხოვარი შეცოდებულთა, და შენდა დიდებასა აღვაველნთ, თანა დაუსაბამოთ მამით შენით, და ყოვლადწმიდით, და სახიერით, და ცხოველსყოფელით სულით შენით, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

### **ლოცვა წმ. მამისა იოანე დამასკელისა, 5**

მეუფეო უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩუენო, რომელსა მხოლოსა გაქვს ხელმწიფება კაცთა ცოდვათა მოტევეებისა, ვითარცა სახიერმან და კაცთმოყვარემან, უგულებელსჰყვენ ყოველნი შეცოდებანი ჩემნი მეცნიერებით და უმეცრებითნი, და ღირს მყავ მე დაუსჯელად ზიარებად საღმრთოთა და დიდებულთა, და უხრწნელთა და ცხოველსყოფელთა საიდუმლოთა შენთა, ნუ სიმძიმედ, ნუცა სატანჯველად, ნუცა დასართველად ცოდვათა, არამედ სალხინებელად და წმიდამყოფელად და წინდად მერმისა ცხოვრებისა და სუფევისა, და ზღუდედ და შემწედ, და სამღეველ წინააღმდგომთა და აღსახოცელ მრავალთა შეცოდებათა ჩემთა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი წყალობისა და მოწყალებისა და კაცთმოყვარებისა, და შენდა დიდებასა აღვაველნთ, თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

### **ლოცვა ბასილი დიდისა, 6**

უწყი, უფალო, რამეთუ უღირსად მოვიღებ უხრწნელსა ხორცსა შენსა და პატიოსანსა სისხლსა შენსა, და თანამდებ ვარ დასასჯელად თავისა ჩემისა, ვსჭამ და ვსვამ, ვერ განმკითხველი ხორცისა და სისხლისა შენ ქრისტესა და ღმრთისა ჩემისასა; არამედ წყალობისა შენისა მომართ კადნიერად მოვალ შენდა მეტყველისა: „რომელი სჭამდეს ხორცსა ჩემსა და სმიდეს სისხლსა ჩემსა, ჩემ შორის ჰგიეს და მე მის შორის“. მოწყალე იქმენ უკვე, უფალო, და ნუ მამხილებ მე ცოდვილსა, არამედ ჰყავ ჩემთანა წყალობისაებრ შენისა, რათა მექმნას მე წმიდა ესე საკურნებელ და განმწმედელ და განმანათლებელ, და მცველად და მაცხოვრად, და წმიდამყოფელად სულისა და ხორცთა სამღეველ ყოვლისა საოცრებისა და ბოროტისმოქმედებისა, და საქმისა საეშმაკოსა საცნაურად ასოთა შინა ჩემთა მოქმედებულისა, კადნიერებად და სიყვარულად შენდა, წარსამართებელად ცხოვრებისა, და უცთომელად აღმატებად სათნოებისა და სისრულედ და აღსრულებად მცნებათა, სულისა წმიდისა ზიარებად საგზლად ცხოვრებისა საუკუნოსა, სიტყვის-საგებელ, კეთილმითვალულ საშინელსა საყდარსა შენსა, ნუ სასჯელად, ნუცა დასასჯელად.

**სხვა ლოცვა საღმრთოთაგან თქმულთა წმიდისა ზიარებისა, სიმეონ ახლისა ღმრთის-  
მეტყველისა 7**

შეგინებულთაგან ბაგეთა, საძაგელისაგან გულისა, არა-წმიდისაგან ენისა, სულისაგან შემწიკულებულისა, შეიწირე ვედრება ჩემი ქრისტე ჩემო, და ნუ უგულებელს-ჰყოფ, ნუცა სიტყვათა, ნუცა სახეთა, ნუცა ურცხვინობათა. მომეც კადნიერებით სიტყვად, რომელიცა მნებავს ქრისტე ჩემო, უფროსდა მასწავე მე, რა ჯერ არს ჩემდა ქმნად და სიტყვად. ვსცოდე უფროს მეძვისა, და მაუწყე სადა იყოფვი. მირონისა მსყიდველი მოვიდე კადნიერებით ცხებად ფერხთა შენთა, ქრისტეს ჩემისა, მეუფისა და ღმრთისა, ვითარცა იგი არა განსდევნე, მოსრული. გულითა ნუცა მე მომიძაგებ სიტყვაო. ფერხნი შენნი მომცენ დაპყრობად, და ამბორის-ყოფად მდინარითა ცრემლითა. ვითარცა მრავალ სასყიდლითა მირონითა, ესე კადნიერებით გცხო. განმბანე მე ცრემლითა ჩემითა. განმწმიდე მე ამით სიტყვაო. მომიტევენ, შეცოდებანი ჩემნი და მომბადლე მე შენდობა. უწყი ბოროტთა სიმრავლე, და უწყნი წყლულებანი ჩემნი. და სენთა ჩემთა ჰხედავ, არამედ სარწმუნოებით უწყი. და მნებებელობასა ჰხედავ, და სულთქმათა ისმენ. არა დაგეფარვის შენ ღმერთო ჩემო, შემოქმედო ჩემო, მხსნელო ჩემო, არცა ცვარნი ცრემლთანი, არცა ცვარნი ნაწილთა რომელთამე. რომელნი არა მექმნეს მე, იხილეს თვალთა შენთა, და წიგნსა შენსა ყოველნივე შთაიწერნეს. იხილე სიმდაბლე ჩემი, იხილე შრომა ჩემი რაოდენ, და ცოდვანი ყოველნი, მომიტევე მე ღმერთო ყოველივე, რათა განწმედილითა გულითა, მძრწოლვართა გონებითა, და სულითა შემუსრვილითა, უხრწნელთა და ყოვლადწმიდათა შენთა საიდუმლოთა ვეზიარო. რომლითა განღმრთდების, და განცხოველდების ყოველი მჭამელი, და მსმელი გულითა წმიდითა, რამეთუ შენ სთქუ მეუფეო ჩემო, ყოველი მჭამელი ხორცისა ჩემისა, და მსმელი სისხლისა ჩემისა, ჩემთანა ჰგიეს, და მე მის თანა. ჭეშმარიტად-არს ყოვლადვე სიტყვა მეუფისა, და ღმრთისა ჩემისა. ხოლო საღმრთოთა და ღმრთით-მყოფელთა, მადლთა მიმთხვეული, არა თავით თვისით ვარ, არამედ შენ მიერ ქრისტე ჩემო. ნათლითა სამ-ბრწყინვალითა განმანათლებელო სოფლისაო. რათა არა მხოლოდ ვიყო, თვინიერ შენსა ცხოვრების-მომცემელისა. სულ-თქმისა ჩემისა, ცხოვრებისა ჩემისა, სოფლის-მაცხოვრისა, ამისთვის შენდა მოსრულ ვარ, ვითარცა ჰხედავ ცრემლითა, და სულითა შემუსრვილითა. დახსნასა შეცოდებათასა ვითხოვ, მოღებად ჩემდა. და შენთა ცხოვრების-მომცემელთა, და უბიწოთა საიდუმლოთა. დაუსჯელად ზიარებად, რათა დაადგრე ვითარცა სთქვი ჩემთანა სამგზის საწყალობელისა, რათა არა თვინიერ მადლისა შენისა, მპოვოს მე მზაკვარმან მან, და წარმიტაცოს მე ზაკვით, მაცთუნოს, და განმაშოროს ღმრთივექმნულთა სიტყვათა შენთა. ამისთვის შეგივრდები, და მხურვალედ გიხმობ შენ: ვითარცა უძლები შეიწყნარე, და მეძავი მოსრული შენდა, ეგრეთ შემიწყნარე მეცა მეძავი, და უძლები მოწყალეო, სულითა შემუსრვილითა აწ მომავალი შენდა. უწყი მაცხოვარო, რამეთუ სხვამან არავინ შეგცოდა, ვითარცა მე. არცა ჰქმნა საქმე, რომელ მე ვჰქმენ, არამედ ესე უწყი, ვითარმედ არა სიდიდე შეცოდებათა, არცა ცოდვათა სიმრავლე აღემატების ღმრთისა ჩემისა, მრავალსა სულგრძელებასა, და კაცთმოყვარებასა. არამედ წყალობითა, და თანალმობითა მხურვალედ შემნანებელთა, განსწმედ, და განანათლებ, და ნათელ-ჰყოფ ზიარებითა, ზიარად ღმრთაებისა შენისა იქმ მათ უხრწნელად, და უცხოდ ანგელოსთა, და კაცთა ცნობისა. თანა-ექცევი მათ მრავალ-გზის, ვითარცა მოყვასთა შენთა საკუთართა. ესენი კადნიერ-მყოფენ მე, ესენი შემიწყნარებენ ქრისტე ჩემო. და ვესავ სიმდიდრესა ქველისმოქმედებისა შენისასა ჩემდა მიმართ, მოხარული და შეძრწუნებული, ერთბამად, ცეცხლსა ვეზიარები, თივა ესე. და უცხო საკვირველი, შევიცვრები შეუწველად, ვითარ უკვე მაყვალნი ძველად შეუწველად მგზებარე.



აწ მადლობისა ცნობით, მადლობისა გულით, მადლობისა ასოთ, და ხორციო ჩემით, თაყვანისგემ და გადიდებ, და დიდებისგემეტყველებ, ღმერთო ჩემო, რამეთუ კურთხეულ ხარ აწ და უკუნისამდე, ამინ.

### **სხვა ლოცვა იოანე ოქროპირისა 8**

ღმერთო მილხინე, მომიტევე, შემინდვენ მე შეცოდებანი ჩემნი. რაოდენიცა გცოდე შენ, საქმით, ანუ სიტყვით, ანუ გონებით, ნებსით, ანუ უნებლიეთ, ცნობით ანუ უმეცრებით, ყოველივე შემინდევ, ვითარცა სახიერმან, და კაცთმოყვარემან. მეოხებითა ყოვლად-უხრწნელისა დედისა შენისათა, გონიერთა შენთა მსახურთა, და წმიდათა ძალთათა, და ყოველთა წმიდათა საუკუნითგან სათნოყოფილთა შენთათა, დაუსჯელად სათნო-მიყავ მე შეწყნარებად, წმიდასა, და უხრწნელსა ხორცსა შენსა, და პატიოსანსა სისხლსა შენსა, საკურნებელად სულისა და ხორცთა, და აღსახოცელად ბოროტთა გულის-სიტყვათა ჩემთა, რამეთუ შენი არს სუფევა და ძალი და დიდება, მამისა, და ძისა, და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

### **მისივე 9**

არა ვარ კმა, მეუფეო უფალო, რათა შემოხვიდე სართულსა ქვეშე სულისა ჩემისათა, არამედ უფროსლა ინებე შენ ვითარცა კაცთმოყვარემან დამკვიდრებად ჩემ შორის. კადნიერებით მოვალ, ჰბრძანე, რათა განმეღოს კარი, რომელი მხოლოდ დამბადებელი ხარ, და შემოხვიდე, ვითარცა კაცთმოყვარე ხარ. შემოვედ უკვე, და განანათლე დაბნელებული გონება ჩემი. მრწამს, ვითარმედ ესე ჰყო, რამეთუ მეძავი, ცრემლით მოსრული, არა განჰსდევნე, არცა ავაზაკი განარე, რომელმან იცნა მეუფება შენი. არცა რომელი მდევარ იყო დაუტევე, შეინანა რა. არამედ სინანულით მოსრულნი შენდა ყოველნი, გუნდსა მოყვარეთა შენთასა დააწესენ, რომელი მხოლოდ კურთხეულ ხარ ყოვლადვე აწ და დაუსრულებელთა საუკუნეთა, ამინ.

### **მისივე 10**

უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩემო, მილხინე, მომიტევე, შემიწყალე და შემინდევ მე ცოდვილსა, და უხმარსა, და უღირსსა მონასა შენსა შეცოდებანი, და ცოდვანი ჩემნი, და ცოდვით დაცემანი. რაოდენიცა სიყრმით ჩემითგან, დღეინდელად დღედ, და ჟამამდე გცოდე უკეთუ ცნობით, ანუ უმეცრებით, უკეთუ სიტყვით, და საქმით, ანუ გულის-თქმით, და გონებით, და დაწყებით, და ყოვლით საცნობელით ჩემით. მეოხებითა უთესლოდ მშობელისა შენისა, ყოვლად უხრწნელისა, და მარადის ქალწულისა მარიამ დედისა შენისათა, მხოლოისა ურცხვენელისა სასოებისა, და შუა-მდგომელისა, და მაცხოვრისა ჩუენისათა, ღირს-მყავ მე დაუსჯელად ზიარებად ყოვლად-წმიდათა, უკვდავთა, ცხოველსმყოფელთა და საშინელთა საიდუმლოთა შენთა, მოსატევებელად ცოდვათა, და ცხოვრებად საუკუნოდ, განსაწმედელად, სიმტკიცედ, საკურნებელად, და სიმრთელედ სულისა ხოლო და ხორცთა, და აღსახოცელად, და სრულიად, უჩინო-მყოფელად ბოროტთა გულისსიტყვათა, და გულის-თქმათა ჩემთა, პირველითგანვე მოღებულთა, და ღამის საოცრებათა, ბნელთა და ბოროტთა სულთა. რამეთუ შენი არს სუფევა, და ძალი, და დიდება, თანა მამით და სულით შენით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

## სხვა ლოცვა იოანე დამასკელისა 11

წინაშე კარსა ტაძრისა შენისასა წარდგომად ვარ, და ბოროტთა გულის-სიტყვათაგან არა განვეშორები. არამედ შენ, ქრისტე ღმერთო, მეზვერე განამართლე, ქანანელი შეიწყალე, და ავაზაკსა სამოთხისა ბჭენი განუხვენ, განმიხვენ მეცა ნაწლევნი კაცთ-მოყვარებისა შენისანი. შემიწყნარე მეცა მოსრული, და შემხებელი შენი, ვითარცა მეძავი, და სისხლ-მდინარე. რამეთუ ერთი იგი, რომელი ფესვსა სამოსლისა შენისა შეეხო, სენთა კურნება მიიღო, ხოლო რომელმან უხრწნელი ფერხი შენი შეიპყრა, განხსნა ცოდვისა წარიღო. ხოლო მე უბადრუკი ყოვლითურთ მრთელსა ხორცსა შენსა ვიკადრებ შეწყნარებად, რათა არა დავიწვა. არამედ შემიწყნარე მე, ვითარცა იგინი, და განანათლენ სულისა ჩემისა საცნობელნი. დასწვენ ჩემნი ცოდვისა მიმართ მიდრეკილებანი. მეოხებითა უთესლოდ მშობელისა შენისა, და ზეცისა ძალათა, რამეთუ კურთხეულ ხარ უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

## სხვა ლოცვა თქმული წმ. დიდისა ბასილისა 12

გმადლობ შენ, უფალო, მამაო მოწყალეებისაო და ღმერთო ყოვლისა ნუგეშისცემისაო. გიგალობ შენ იესო ქრისტე ძეო და სიტყვა ღმრთისაო, რომელი განკაცენ ხსნისათვის ნათესავისა კაცთასა. გადიდებ შენ მეუფეო ცათაო, სულთა წმიდაო ცხოველს-მყოფელო, განმწმედელო სულთა და ხორცთა ჩუენთაო, ღმერთო ყოვლისამპყრობელო. სამებაო სრულო, მოუკლებელო, მიუწვდომელო, გამოუთქმელო, დაუსაბამო ღმერთო ჩუენო. რომელმან ღირს-მყავ მე უღირსი ესე წარდგომად წმიდასა საკურთხეველსა შენსა, ჟამსა ამას საშინელსა. წმიდისა ამის და შესაძრწუნებელისა მსხვერპლისა შენისა შეწირვისასა. გვედრები, უფალო კაცთ-მოყვარეო, ღირს-მყავ მე გლახაკი ესე და ყოვლად-უღირსი და ცოდვილი მონა შენი, ღირსებით და სიწმიდით ზიარებად უხრწნელთა მათ და ყოვლადწმიდათა შენთა საიდუმლოთა. ნუ სატანჯველად და დასასჯელად ჩემდა, ნუცა დასართველად ცოდვათა ჩემთა, არამედ განსაწმედელად სულისა და ხორცთა. წინდად საუკუნოსა სასუფეველისა შენისა. აღსახოცელად ჩემთა ცოდვათა, ზღუდედ ჩემთა, და გარემისაქცეველად ყოველთა წინა-აღმდგომთა უხილავთა მტერთა ჩემთა, მომხედენ მე უფალო ძალით წმიდით შენით, და აკურთხენ და წმიდაჰყვენ ყოველნი ასონი სულთა და ხორცთა ჩემთანი, ძალითა შენითა წმიდითა. ვიცი უფალო, ვიცი და არა უარვპყვო ვითარმედ ფრიად შეგცოდე და განგარისხე და არა ღირს-ვარ ყოვლადვე ზე აღხილვად ზეცად მიმართ. ანუ თუ მიხედვად წმიდასა დიდებულსა საკურთხეველსა შენსა. მიხსენ მე, ძეო ღმრთისაო, მიხსენ და ნუ მრისხავ. უსასყიდლოდ შემიწყალე, და ნუ გამოემიებ საქმეთა ჩემთა რამეთუ ბოროტ არიან, და ნუ აღრაცხავ ცოდვათა ჩემთა, რამეთუ მრავალ და ურიცხვ არიან. და ნუ განიკითხავ გულის-სიტყვათა ჩემთა, რამეთუ არაწმიდა არიან. და ნუ იხილავ განზრახვათა ჩემთა, რამეთუ შესვარულ არიან. მე ამათ ვიტყვი და აღვიარებ და დავსწერ, შენ შემინდე, მომიტევენ და აღხოცენ. მიხსენ მე უფალო, მიხსენ მე, რამეთუ ყოვლადვე შეგივრდები. დაღაცათუ მრავალ-არიან შეცოდებანი ჩემნი შენდამი მეუფეო, არამედ უფროს და უმაღლეს წყალობანი შენნი ჩემდა მომართ სახიერო, რამეთუ შენ მარადის მწყალობ, და მე განგარისხებ. შენ სინანულად მომიწოდებ და მე ურჩ გექმნები. შენ სიწმიდით ცხოვრებასა მიბრძანებ და მე მცნებათა შენთა გარდავალ. შენ მხადი და მე გველტი. ესრეთ ყოვლითურთ წინააღმდგომ შენდა არს ცხოვრება ჩემი. ჰოი, უფალო კაცთ-მოყვარეო რომელმან სისხლი შენი პატიოსანი მიეც სახსრად მონათა შენთათვის. მიხსენ მე უსჯულოებათა ჩემთაგან, რომელმან განსწმიდე წიღოვანი იგი განსწმიდე მწიკვლევანებაცა ვნებათა ჩემთა. და ურიცხვთა მათ ცოდვათა ჩემთა სიმრავლე

უგულებელსყავ. რომელმან შეიწყალე ქანანელი იგი, შემიწყალე მეცა ძეო ღმრთისაო. რამეთუ არა თუ ასული ჩემი, არამედ სული ჩემი საწყალობელი იგვემების ეშმაკთაგან ბოროტთა. განსწმიდე გული ჩემი გულის-სიტყვათაგან შეგინებულთა და გვაძი ჩემი საქმეთაგან ბოროტთა. ყოვლადვე განმწმიდე მე უფალო, რამეთუ სრულიად შეგინებულ ვიქმენ. უფალო, რომელმან ბაბილოვნისა მძაფრი იგი სახმილი დაშრიტე. დაშრიტე მხურვალეზაცა ესე გულისა ჩემისა. და მდუღარება უზადრუკთა ამათ ხორცთა ჩემთა. უწყი რამეთუ კაცი მდაბალი და უძღურ-ვარ, კაცი გლახაკი და უდებ ვარ მე. ჰე, უფალო, ნუმცა წარვსწყმდეზი ბოროტად, და ურვეულად. უწყი უფალო, რამეთუ კაცი ამაოებასა მიემსგავსა, და თიხა თვით განწმედად ვერ შემძლებელ არს. ამისთვის ვითარცა უწყი და ვითარცა გნებავს, განმწმიდე და მაცხოვრე მე, რათა არა იქადოს მტერმან ჩემმან ჩემ ზედა. ნუ, სძლევენ, უფალო, ცოდვანი ჩემნი წყალობასა შენსა, არამედ წყალობით შემიწყალე მე, და პირველ სიკვდილისა მომმადლე ნაკადული და წყარო ცრემლთა. რამეთუ შეგინებულ არიან თვალნი ჩემნი და უნაყოფო არს სული ჩემი. ნუ, მომსწყვედ, მეუფეო უნანელად. უფალო, უფალო შემინდევე, უფალო შემიწყალე, ღმერთო მილხინე ცოდვილსა ამას, უფალო მიხსენ და განმარინე მე. და ყოველნი მოყვარენი ჩემნი და მტერნი ჩემნი. რამეთუ ჩუენ ვითარცა კაცთა შეგცოდეთ, ხოლო შენ ვითარცა ღმერთხარ შეგვინდევე და განგვწმიდენ ჩუენ ყოვლისაგან ძვირის ხსენებისა. უფალო შენ უწყი ვითარცა გულთმეცნიერმან, რამეთუ არა ვითარცა შეურაცხებით მოუხდები წმიდათა და უხრწნელთა შენთა საიდუმლოთა, დადაცათუ უღირს ვარ მოღებად მათდა, არამედ სარწმუნოებითა მხურვალითა შიშით და ძრწოლით ვიკადრებ, რამეთუ უკეთუ სრულიად განვეშორო მათგან სრულიადცა წარვსწყმდე მდაბალი ესე და გლახაკი, და თუ მპოოს მტერმან ჩემმან შიშველი შორს უფლისა ჩემისაგან, სრულიად შთამნთქას და წარმწყმიდოს მე. მიხსენ მე უფალო მწარისა მისგან გველისა, გარე-მიაქციენ ისარნი მისნი, და განსდევნენ ჩემგან ბოროტნი გულისსიტყვანი, მსწრაფლ-განმრყენელნი და დამაბნელებელნი ლოცვათა ჩემთანი. დამიფარე უფალო, ყოვლისაგან ბოროტისა. დამიცვე მე უფალო, ყოვლისაგან ცთომისა. მიხსენ მე უფალო, ყოვლისაგან წვალეზისა, და ღირს-მყვენ უფალო, მართლ-მადიდებლობისა სიტყვითა წარდგომად წინაშე შენსა, დღესა მას სიტყვისგებისა ჩემისასა. ოდეს იგი მიაგებდე თითოეულსა საქმეთა მათთაებრ. მოიხსენენ უფალო, ყოველნი მამანი და ძმანი ჩუენნი, სულიერნი და ხორციელნი, რომელნი ჭირსა შინა და იწროებასა და ტანჯვასა შინა არიან. გევედრები უფალო, განუსვენე პირველ-გარდაცვალებულთა მამათა და ძმათა ჩუენთა სულიერთა და ხორციელთა, რომელნი ტყვეობასა შინა არიან. უფალო გამოიხსენ და რომელნი სულთაგან არა-წმიდათა იტანჯებიან განათავისუფლენ, რომელთაგან პირველი მე ვარ. უცხონი უფალო დაიცვენ, შეცოდებულთა უფალო სინანული მოჰმადლე, სნეულნი უფალო განჰკურნენ, და ჩუენ ყოველნი უფალო, შეგვიწყალენ და შეგვინდევე. და მარჯვენით შენსა მდგომარეთა თანა ღირს-მყვენ. მეოხებითა ყოვლად-უხრწნელისა და უმეტესად კურთხეულისა დედუფლისა ჩუენისა ღმრთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისათა. ძლიერებითა ცხოველს-მყოფელისა პატიოსნისა ჯვარისათა. ვედრებითა წმიდათა ანგელოსთა და მთავარანგელოსთა. და დიდებულთა ქერუბიმთა და სერაბიმთასა. მეოხებითა წმიდისა და დიდებულისა წინასწარმეტყველისა, და წინა-მორბედისა შენისა იონესითა და იოანე ქალწულ-მახარებელისითა. მეოხებითა წმიდათა და ყოვლად-ქებულთა თავთა მოციქულთა პეტრესითა და პავლესითა, და სხვათა წმიდათა მოციქულთათა, მეოხებითა წმიდისა სტეფანე პირველ-დიაკონისა და პირველ-მოწამისათა. და სხვათა მათ წმიდათა მოციქულთა შენთათა. და წმიდათა მთავარ-მოწამეთა გიორგი, თეოდორე, დიმიტრი, მერკვირი, პროკოპი, პანტელეიმონ, კვირიკე და არტემისათა. მეოხებითა ერთობით ყოველთა წმიდათა შენთა. მოციქულთა. წინასწარ-მეტყველთა.

მღვდელმთავართა. მახარებელთა. მოწამეთა. მამათა. მოღვაწეთა, და რომელნი საუკუნითგან სათნო-გეყვნეს შენ, რამეთუ შენი არს სუფევა, ძალი და დიდება, პატივი და თაყვანისცემა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

### **სხვა ლოცვა იოანე ოქროპირისა**

მრწამს უფალო, და აღვიარებ რამეთუ შენ ხარ ჭემმარიტად ქრისტე მე ღმრთისა ცხოველისა. მოსრული სოფლად ცოდვილთა ცხოვრებად, რომელთაგან პირველი მე ვარ.

კვალად მრწამს, რამეთუ ესე არს თვით უხრწნელი ხორცი შენი, და ესე არს თვით პატიოსანი სისხლი შენი. შენ უკვე გვედრები, შემოწყალე მე, და შემინდე შეცოდებანი ჩემნი, ნებსითნი, და უნებლიეთნი, სიტყვით, და საქმით, ცნობით და უმეცრებით, და ღირს-მყავ მე დაუსჯელად ზიარებად უხრწნელთა საიდუმლოთა შენთა, მოსატევებელად ცოდვათა, და ცხოვრებად საუკუნოდ, ამინ.

**(ხოლო მირახვიდე ზიარებად, სთქვი თავსა შორის თვისსა).**

### **სხვანი ესე მეტაფრასისანი**

ესერა მივეახლები, საღმრთოსა ზიარებასა. შემოქმედო, ნუ დამწვავ ზიარებითა, რამეთუ ცეცხლი ხარ უღირსთა შემწველი. არამედ უკვე განმწმიდე ყოვლისაგან მწიკვლისა:

### **ხოლო შემდგომად სთქვი:**

სერობასა საიდუმლოსა შენისასა, დღეს მეო ღმრთისაო ზიარებად შემოწყნარე, რათა არა მტერთა შენთა უთხრა საიდუმლო შენი. არცა ამბოროს-გიყო, ვითარცა იუდა. არამედ ვითარცა ავაზაკი აღვიარებ შენ. მომიხსენე მე უფალო, სასუფეველსა შენსა:

### **კვალად სხვანი ესე:**

ღმერთ-მყოფელისა სისხლისაგან შეძრწუნდი, კაცო, ჰხედვიდე რა, რამეთუ ცეცხლი არს უღირსთა შემწველი. ხორცი ღმრთისა განმამღრთობს მე, და მზრდის. განაღმრთობს სულსა და ჰზრდის გონებასა უცხოდ.

### **შემდგომად ტროპარი ესე:**

დამატკბე სიყვარულითა ქრისტე, და შემცვალე საღმრთოთა სურვილითა შენითა. დასწვენ ცეცხლითა უნივთოთა ცოდვანი ჩემნი, და აღმავსე საშვებელითა შენითა, და ღირს-მყავ, რათა სიხარულით ვადიდებდე სახიერ მრჩობლსა მოსლვასა შენსა:

ბრწყინვალეებასა წმიდათა შენთასა, ვითარ შევიდე არა-ღირსი, რამეთუ უკეთუ ვიკადრო შესღვად სასძლოსა, სამოსელი ჩემი მამხილებს მე, რამეთუ არა არს საქორწინე, და შეკრული, განვიგდები ანგელოსთა მიერ. განწმიდე უფალო მწიკვლი სულისა ჩემისა, და მაცხოვრე ვითარცა კაცთ-მოყვარემან.

## მერმე ლოცვა ესე:

მეუფეო კაცთ-მოყვარეო, უფალო იესო ქრისტე ღმერთო ჩემო, ნუმცა დასასჯელ-მექმნების მე სიწმი-დე ესე უღირსებისათვის ჩემისა, არამედ განსაწმედელად, და წმიდა-მყოფელად სულისა და ხორცისა, და წინდად მერმისა ცხოვრებისა, და სუფევისა.

ხოლო ჩემი მიახლება ღმრთისა კეთილ-არს, და დადებად უფლისა მიმართ სასოება ცხოვრებისა ჩემისა.

## და კვალად:

სერობასა საიდუმლოსა შენისასა, დღეს მეო ღმრთისაო ზიარებად შემიწყნარე, რათა არა მტერთა შენთა უთხრა საიდუმლო შენი. არცა ამბორს-გიყო, ვითარცა იუდა. არამედ ვითარცა ავაზაკი აღვიარებ შენ. მომიხსენე მე უფალო, სასუფეველსა შენსა:

**ხოლო ოდეს მიემთხვიო ზიარებასა ცხოველსმყოფელსა საიდუმლოსა ნიჭსა. აქებდე მეყვსეულად, და ჰმადლობდე ფრიად, და ამას მხურვალითა სულითა იტყოდე ღმრთისა მიმართ:**

დიდება შენდა ღმერთო (3-გზის).

## ესრეთ ლოცვა სამადლობელი

გმადლობ შენ უფალო, ღმერთო ჩემო, რამეთუ არა განმაგდე მე ცოდვილი, არამედ ზიარ-ყოფად მე სიწმიდეთა შენთა ღირს-მყავ, გმადლობ შენ, რამეთუ მე არა ღირსი ზიარებად ყოვლად-წმიდათა შენთა ზეცისა ნიჭთა ღირს-მყავ. არამედ მეუფეო კაცთ-მოყვარეო, ჩუენთვის მომკვდარო, და აღდგომილო, და მომნიჭებელო ჩუენდა საშინელთა ამათ, და ცხოველს-მყოფელთა საიდუმლოთა, კეთილის-საქმედ, და განსაწმედელად სულთა, და ხორცთა ჩუენთა, მომეც ყოფად ამისა მეცა საკურნებელად სულისა ხოლო და ხორცთა, განსადევნელად, ყოველთა წინა-აღმდგომთა, განსანათლებელად თვალთა გულისა ჩემისათა. სიმშვიდედ სულიერთა ძალთა ჩემთა. სარწმუნოებად ურცხვენელად, სიყვარულად შეუორგულელებელად, აღმავსებელად სიბრძნითა, დამარხვად მცნებათა შენთა შეძინებად საღმრთოთა მადლთა შენთა. შენისა სასუფეველისა თვისებად. რათა სიწმიდითა შენითა დაცული, მადლსა შენსა მოვიხსენებდე მარადის და არავინ თავით თვისით ცხოველ-არს, არამედ შენდამი, მეუფისა ჩემისა, და ქველის-მოქმედისა და ეგრეთვე ამის ცხოვრებისაგან განსრული, სასოებითა ცხოვრებისა საუკუნოსათა, მარადის მყოფსა განსვენებასა მივიწიო, სადა მედღესასწაულეთა ხმა დაუსრულებელ-არს, და წარუვალი სიტკბოება, ჰხედვენ პირისა შენისა სიკეთესა გამოუთქმელსა, რამეთუ შენ ხარ ჭეშმარიტი სასურველი, და გამოუთქმელი სიხარული, მოყვარეთა შენთა ქრისტე ღმერთო ჩუენო, და შენ გიგალობს ყოველი დაბადებული უკუნისამდე. ამინ.

## სხვა ლოცვა ბასილი დიდისა

მეუფეო ქრისტე ღმერთო, მეუფეო საუკუნეთაო, და შემოქმედო ყოველთაო, გმადლობ შენ ყოველთათვის, რომელნი მომცენ მე კეთილნი, ზიარებითა ყოვლად-წმიდითა, და ცხოველს-მყოფელთა საიდუმლოთა შენითა. გვედრები უკვე სახიერო, და კაცთ-მოყვარეო, დამიცევ მე საფარველსა ქვეშე შენსა, და საგრილსა ფრთეთა შენთასა. და მომანიჭე მე სიწმიდით ზრახვად, ვიდრე უკანასკნელად აღმოფშვინვად ჩემდამდე, ღირსებით ზიარებად სიწმიდეთა შენთა, მოსატევებელად ცოდვათა და ცხოვრებად საუკუნოდ.

რამეთუ შენ ხარ პური ცხოვრებისა, და წყარო სიწმიდისა, და შენდა დიდებასა აღვაკლებთ, თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის, და უკუნითი უკუნისამდე. ამინ.

## ლოცვა სიმეონისა

მომცემელი საზრდელად ხორცისა შენისა ნებსით, ცეცხლ არს და შესწავას უღირსთა; ნუ დამწვავ მე შემოქმედო ჩემო, უფროსლა შემოვედ ასოთა შინა ჩემთა, ყოველთა ნასხამთა, თირკმელთა, და გულსა დასწვენ ეკალნი ყოველთა შეცოდებათა ჩემთანი. სული განსწმიდე. წმიდაჰყვენ საცნობელნი. ნასხამნი დაამტკიცენ ძვალთა თანა ერთბამად. საცნობელნი განმინათლენ. ყოვლითურთ შემსჭვალე შიშსა შენსა. მარადის დამიფარე, დამიცევ, და დამიმარხე მე. ყოვლისაგან საქმისა, და სიტყვისა სულთა განმხრწნელისა. წმიდა-მყავ, განმწმიდე, და განმზანე. წარმიმართე, და გულის-ხმა მიყავ, და განმანათლე მე გამომაჩინე საყოფელად სულისა შენისა, რათა სადგურ მისდა ვიქმნე, და არა ცოდვისა, და რათა ტაძარი შენი შემოსლვითა ზიარებისათა, ვითარცა ცეცხლითა დაიწვას ყოველი ძვირის-საქმე, და ვნება. სავედრებელად შენდა შევსწირავ, წესთმთავართა. წინა-მორბედსა შენსა, და ყოვლად-ბრძენთა მოციქულთა. მათ-თანა უხრწნელსა, უბიწოსა დედასა შენსა. მათითა ვედრებითა შეიწირე მოწყალეო ქრისტე ჩემო. მსახურ-მქმენ, და მე ნათლისა. რამეთუ შენ ხარ განმწმედელი, და მხოლო სახიერი, და სულთა ჩუენთა განმანათლებელი და შენდა ვითარცა შვენის ღმრთისა და მეუფისა, დიდებასა აღვაკლებთ ყოველნი ყოველსა დღესა.

## სხვა ლოცვა

ხორცი შენი, წმიდა უფალო იესო ქრისტე ღმერთო ჩემო, მექმენინ მე ცხოვრებად საუკუნოდ, და სისხლი შენი პატიოსანი მოსატევებელად ცოდვათა მეყავნ მე, ხოლო სამადლობელი ესე სიხარულად, სიმრთელედ და მხიარულებად, და საშინელსა მეორედ მოსლვასა შენსა ღირს-მყავ მე ცოდვილი დადგომად, მარჯვენით დიდებისა შენისა, მეოხებითა ყოვლადწმიდისა დედისა შენისათა და ყოველთა წმიდათა.

## სხვა ლოცვა ყოვლადწმიდისა ღმრთისმშობელისა

ყოვლად-წმიდაო დედუფალო ღმრთისმშობელო, ნათელო დაბნელებულისა სულისა ჩემისაო, სასოებაო, საფარველო, შესავედრებელო, ნუგეშინის-მცემელო, სიხარულო ჩემო. გმადლობ შენ, რამეთუ ღირსმყავ მე არა-ღირსი, ზიარყოფად უხრწნელისა ხორცისა, პატიოსნისა სისხლისა ძისა შენისა, არამედ მშობელო ჭეშმარიტისა ნათლისაო, განანათლენ

საცნაურნი თვალნი გულისა ჩემისანი, რომელმან ჰმეც წყარო უკვდავებისა, ცხოველ-მყავ მე მომკვდარი ცოდვითა. წყალობის მოყვარისა მოწყალისა ღმრთისა დედაო, შემიწყალე მე. და მოეც ღმობიერება და შემუსრვილება გულსა ჩემსა, და სიმდაბლე ზრახვათა ჩემთა, დახსნა ტყვეობისაგან გულის-სიტყვათა ჩემთა. და ღირს-მყავ მე ვიდრე უკანასკნელ აღმოფშვინვადმდე, დაუსჯელად მიღებად ყოვლად წმიდათა საიდუმლოთა, განსაწმედელად, საკურნებელად სულისა და ხორცთა, და მომმადლენ მე ცრემლნი სინანულისა და აღსარებისანი, გალობად, და დიდებად შენდა, ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩემისათა. რამეთუ კურთხეულ ხარ, და დიდებულ უკუნისამდე, ამინ.

ღირს-არს ჭემმარიტად, რათა გადიდებდეთ, შენ ღვთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ, ყოვლად-უბიწოდ და დედად ღვთისა ჩვენისა. უპატოსნესსა ქერუბინთასა, და აღმატებით უზესთაესსა სერაბინთასა, განუხრწნელად მშობელსა სიტყვისა ღვთისასა, მხოლოსა ღვთისმშობელსა გალობით გადიდებდეთ.

წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ (3-გზის).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

ყოვლადწმიდაო სამებაო, შეგვიწყალენ ჩვენ, უფალო, გვიხსენ და გვილხინე ცოდავათა ჩვენთაგან, მეუფეო, შეგვიწმენდევ უსჯულოებანი ჩვენნი, წმიდაო, მოიხილე და განჰკურნენ უძლურებანი ჩვენნი სახელისა შენისათვის.

უფალო შეგვიწყალენ (3-გზის).

დიდება მამასა და ძესა და წმიდასა სულსა, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ.

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყავნ სახელი შენი, მოვედინ სუფევა შენი, იყავნ ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა, პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს, და მომიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მივუტევებთ თანამდებთა მათ ჩვენთა და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან, ამინ.

### **ტროპარი იოანე ოქროპირისა**

პირისა შენისა მადლი, ვითარცა ოქრო გამობრწყინდა, და სოფელი განანათლა უპოვარებისა საუნჯენი სოფელსა შინა განამრავლნა, და სიმაღლე სიმდაბლისა გვიჩუენა ჩუენ: არამედ ვითარცა იგი სიტყვითა შენითა განმჰსწავლენ ჩუენ, ეგრეთვე სიტყვასა ქრისტე ღმერთსა ევედრე მამაო ოქრო-პირო შეწყალებად სულთა ჩუენთათვის.

დიდება...

კონდაკი: ზეცით მოილე საღმრთო მადლი, და ბაგითა შენითა ყოველთა ასწავე თაყვანის-ცემა სამებისა მხოლოისა ღმრთისა, იოანე ოქროპირო, ყოვლად-სანატრელო, ღირსო, ღირსად გაქებთ შენ, რამეთუ ხარ მოძღვარი, ვითარცა საღმრთოდ გამოჩინებული.

აწ და...

სასო და შესავედრებელო ქრისტიანეთაო, ურცხვენელო და შუამდგომელო, დამბადებელისა მიმართ მითვალულო და შეწყნარებულო, ნუ უგულებელს-ჰყოფ ხმასა ცოდვილთა ვედრებისასა, არამედ ისწრაფე შეწევნად ჩუენდა, ვითარცა სახიერ ხარ, რომელნი ესე სარწმუნოებით გიდადადებთ მხოლოო კურთხეულო, და მოსწრაფე ექმენ ვედრებად, და განმზადებულ მეოხებად, და ღმობიერ ხელის-აღმპყრობელ, რომელი ეგე მარადის, იღვწი პატივის-მცემელთა შენტა ღმრთისმშობელო.

უფალო შეგვიწყალენ (12-ჯერ).

დიდება... აწ და...

უპატოსნესსა ქერუბიმთასა...

დიდება... აწ და...

უფალო შეგვიწყალენ 3-ჯერ.

გვაკურთხენ.

**უკეთუ არს ლიტურდია დიდისა ბასილისა, ითქმის  
ტროპარი წმ. ბასილი დიდისა:**

ყოველსა ქვეყანასა განხდა ხმა შენი, რომელმანცა შეიწყნარა სიტყვანი შენნი, რომლითა ღმრთივ-შვენიერად ჰქადაგე სარწმუნოება. ბუნებანი დაბადებულთანი გამოაცხადენ. წესნი კაცთანი განაბრწყინვენ, და სამეუფო იგი მღვდელობა განაშვენე. წმიდაო მღვდელმთავარო ბასილი ევედრე ქრისტესა ღმერთსა, შეწყალებად სულთა ჩუენთათვის.

დიდება...

კონდაკი: გამოსჩნდი შეუძრველად სიმტკიცედ ქრისტეს ეკლესიისა, და მიანიჭებ ყოველთა კაცთა მადლთა საღმრთოთა, რამეთუ განჰვინენ სწავლანი საღმრთონი ყოველსა ქვეყანასა ზედა, და ბრწინავ ზეცათა შინა ყოვლად პატოსანო მნათობო სოფლისაო, ღირსო ბასილი.

**და უკეთუ არის ლიტურგია პირველ შეწირულისა, სთქვი ესე  
ტროპარი და კონდაკი წმ. გრიგოლი დიოლოლოსისა:**

რომელმან ღმრთისა მიერ ზეგარდამო საღმრთო მადლი მოიღე დიდებულო გრიგოლი, და მის ძლით განძლიერდი და სახარებისაებრ სლვა თავს-იდევ ვინაცა ქრისტესგან შესაძინელი მას შინა ჰპოვე ყოვლად ნეტარო, რომელსაცა ევედრე, რათა აცხოვნნეს სულნი ჩუენნი.

წინასწარ მთავრობად გამოსჩნდი, მწყემს-მთავრად განმაწესებელ ქრისტეს სამწყსოსა მამაო გრიგოლი, და შეზღუდე მოძღვრებითა ზეციერთა, და მსგავსად მმარხველთა გამოაჩინენ



მიერთგან და სახითა ასწავე სამწყსოსა, ქრისტესსა მცნებანი მისნი, აწ მათ-თანა იხარებ, და იშვებ ზეცათა შინა.